სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 15 ივლისი 2008 №161 (3385) ფასი 50 თეთრი

ტორპედოს ძალლის ბედიც არა ჰქონია

ვინ წაიღებს კიდევ წერილს?



ამერმა ლირსება დაიცვა და ძალა დაკარგა

დეკანოსიძე, დავითაშვილი, გოცირიძე, მესხი, ჩიკვილაძე, კაკაშვილი, ალავიძე და დიდავა ყვითლები აღარ არიან










ბალზას აბვლელიანის ფოტო



ბადრი კეთილაძის ფოტო

გია გურული: კესანისა არაფერი ვიცი
სანდროს ბელგია გადაწყვეტილია

„ზესტაფონმა“ არ იცის, სად არის მისი გაბონელი ლეგიონერი პოლ კესანი. საქართველოს ჩემპიონატის წინა სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი გაბონის ნაკრებს ახლდა მუნდიალ-2010-ის შესარჩევ მატჩებში, თუმც მას შემდეგ ფეროელებთან აღარ დაბრუნებულა. იმერულ კლუბში გვითხრეს, მასთან დაკავშირება ვერ ხერხდებაო. კესანის ამბავი საფრანგეთში გია გურულთანაც გადავამოწმეთ. გაბონელი ლეგიონერები ხომ სწორედ მისი მეშვეობით ჩამოვიდნენ საქართველოში, თუმც ვერც გურულმა გვითხრა რამე...

— არ ვიცი. ეს ამბავი პირველად გავიგე. გუნდთან ერთად არ არის, რას ნიშნავს?! მას ხომ „ზესტაფონთან“ კონტრაქტი აქვს...

— რომელიმე სხვა კლუბში ხომ არ აპირებდა გადასვლას?

— არ ვიცი. არა მგონია... ასეც რომ იყოს, ის „ზესტაფონის“ საკუთრებაა.

— თქვენს ვაჟზე, სანდრო გურულზეც გვითხარით: გადაწყდა, რომ მიდის „ლიონ-დუშერიდან“?

— საბუთები გაკეთებულია და შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილია, ბელგიაში გააგრძელებს კარიერას.

— რომელ კლუბში?

— ჯერ ვერ დავაკონკრეტებ. რამდენიმე ვარიანტია, მათ შორის, ბელგიის უძლიერესი ლიგის.

ილია ნანოგაშვილი

დიორ ეტო ძლიერია, მაგრამ...
თემურ მახარაძეს ტესტები არ ეყო

თემურ მახარაძე და ნიკა გელაშვილი

ფოტო ალექსანდრე ბეგიაშვილის

17 ივლისს „ზესტაფონი“ უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე უნგრულ „დიორ ეტოს“ რომ გაეჯიბრება, არახალია. იმერლებმა ორკვირიანი თურქული შეკრება მოილიეს და გუშინწინ „მიხეილ მესხზე“ „გაგრას“ გაეჯიბრნენ ამხანაგურად (3:3). ნამატჩევს „ზესტაფონის“ მთავარ მწვრთნელ თემურ მახარაძეს გავესაუბრეთ და პირველად თურქულ შეკრებაზე ვკითხეთ...

— ორი კვირა დავყავით ანკარაში, სავარჯიშოდ კარგი პირობები გვქონდა, თუმცა სპარინგპარტნიორების ნაკლებობა იყო და მხოლოდ ორი მატჩის გამართვა მოვახერხეთ, რაც ორკვირიანი შეკრებისთვის ძალიან ცოტაა.

— კამერუნელ ახალწვეულებზე, ბოიომო ფრიდოლინზე და ერიკ რომეო ჩასემზე რას იტყვით?

— ჩასემმა ტრავმა მიიღო და ხუთი დღეა, რაც ვარჯიში დაიწყო. ფრიდოლინი კი ჯერ ვერ არის ოპტიმალურ ფორმაში.

— ფრიდოლინი ბოლნისის „სიონში“ ცენტრალური მცველი იყო, „გაგრასთან“ მარცხნივ ათამაშეთ...

— ფლანგზეც მოვსინჯეთ და ვნახოთ, როგორ მოერგება.

— უნგრულ „დიორ ეტოსთან“ ალბათ ერთი ფორვარდით ითამაშებთ და ის ბექა გოცირიძე იქნება...

— თავდასხმაში საკმაოდ დიდი კონკურენციაა — გოცირიძე, იონანიძე, გელაშვილი, ჩასემი... ასე რომ, მატჩის დღეს გადავწყვეტ, ვინ ვითამაშო.

— მეტოქეზე რა ინფორმაციას ფლობთ?

— მათი თამაში ფირზე ვნახე და ძლიერი მეტოქეა. ათლეტური, სწრაფი და ტაქტიკურად განსწავლული გუნდი ჩანს. თანაც მათ თამაშშზე 30 ათასი კაცი ყოველთვის დადის. ასე რომ, მძიმე ბრძოლა გველის.

— შანსებს როგორ აფასებთ?

— „დიორ ეტო“ ჩვენზე გაცილებით ძლიერი გუნდია, თუმც ჩვენ ღირსეულად უნდა გამოვიდეთ.

— ეროვნულ ჩემპიონატში რა მიზანს ისახავთ?

— სამწრიანი ჩემპიონატი იქნება და ჩვენ საკმაოდ ცუდი კალენდარი შეგვხვდა, თუმც „ზესტაფონი“ მაქსიმუმის მისაღწევად იბრძოლებს. მიზანი თასი და ჩემპიონობაა.

— ახალი ფეხბურთელების დამატებას აღარ გეგმავთ?

— რა თქმა უნდა, რამდენიმე ფეხბურთელს დავიმატებთ. ფაქტობრივად, ყოველ 6 თვეში ახალი გუნდის ჩამოყალიბება გვიხდება. ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი წავიდა და შევსება უნდა მივიღოთ. საკმაოდ უცნაურადაა გაბონელი პოლ კესანის საქმეც. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის გავათავისუფლეთ. ამ დღეებში უნდა ჩამოსულიყო, თუმც არ ჩანს და არც არაფერს გვატყობინებს. ვერც ჩვენ ვუკავშირდებით. ალბათ უახლოეს დღეებში გავარკვევთ მის საკითხს.

ნუკრი ლოლაძე

გუშინ დინამოს რუნავიკი ჩამოუვიდა

რაინერ ცობელი

ფარერული „რუნავიკი“ თბილისში გუშინ ჩამოვიდა და სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ დაბინავდა. სტუმრობის მიზეზი გეცოდინებათ: ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „რუნავიკი“ საქართველოს ჩემპიონ „დინამოს“ ხვდება.

ფარერელებმა პირველი თბილისური ვარჯიში გუშინვე ჩაატარეს დიღომში, კარლო მჭედლიძის საფეხბურთო აკადემიაში. დინამოელთა მეტოქე, მოგეხსენებათ, სამოყვარულო გუნდია და რაღაც განსაკუთრებული დატვირთვები ისედაც არ აქვთ ხოლმე და, მით უმეტეს, ამხელა მანძილზე მგზავრობის მერე.

„რუნავიკს“ მომდევნო ვარჯიში დღეს, 18 საათზე ეროვნულ სტადიონზე აქვს.

გუშინვე, დიღომში, ოღონდ საკუთარ ბაზაზე ივარჯიშა „დინამომ“. რაინერ ცობელის განკარგულებაში აქამდე ტრავმირებული ფეხბურთელებიც დაბრუნდნენ და შემადგენლობას ოპტიმალური ეთქმის. ერთადერთი ფეხბურთელი, ვინაც გუშინდელი ვარჯიში გამოტოვა, გიორგი გუგავაა.

აქვე „დინამოს“ საჩემპიონთალიგო განაცხადს გაგაცნობთ: *ლორია, ოვონო, ლოსაბერიძე, კრშკო, შ. კაშია, გ. კაშია, გველესიანი, თომაშვილი, გუგავა, ინწკირველი, დიღმელაშვილი, ხმალაძე, ოდიკაძე, ქავთარაძე, ნერგაძე, სპასოვიჩი, მერებაშვილი, ქანთარია, აკირემი, ჯიუსი, ჯიშკარიანი, ფირცხალავა, ვაწაძე.*

კოტე კეკელია

მიწის ყივილი
ნარიაშვილი გურიას დაუბრუნდა

ისე ჩანს, ლანჩხუთში ფეხბურთი ცოცხლდება — „გურიას“ ისტორია ქართული ფეხბურთის ქომაგს კარგად მოეხსენება და მისი შეხსენებით თავს აღარ შეგაწყენთ. ის კი სასიხარულოა, რომ „გურიას“ წლეულს საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში საკმაოდ ამბიციური გუნდი ეყოლება.

ლანჩხუთელთა მიზანი უმაღლეს ლიგაში აღზევება იქნება და ახლახან „გურიას“ მთავარ მწვრთნელად ლანჩხუთელი ავთანდილ ნარიაშვილი დაინიშნა, რომელიც ბოლოს „ზესტაფონში“ თემურ მახარაძის თანაშემწე იყო.

ნუკრი ლოლაძე

ორჯერ სუმგაითში

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ივლისის ბოლოს აზერბაიჯანში ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს. ჩვენმა მეზობლებმა უკვე დაადგინეს თარიღი და მასპინძელი ქალაქი — 28 და 30 ივლისს აზერბაიჯანი და საქართველო ერთმანეთს სუმგაითში, „მეხთი ჰუსეინზადეზე“ გაეჯიბრებიან.

მიხეილ ჟორჟოლიანი

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

უეფას ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის „დინამო“ (საქართველო) — „რუნავიკი“ (ფარერები) მატჩზე აკრედიტაციის მსურველებმა მოგვმართეთ ამა წლის 16 ივლისს 14 საათამდე საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ პრესსამსახურში

ამხანაგური მატჩები

სანტოსი	0:1
ნიუ ინგლენდი	
კაენი	2:0
ლე ავრი	
კაპფენბერგი	2:0
ბანიკი	
რაპიდი (ბუძ.)	1:0
ბეითარი	
ლილი	1:0
კალე	
ოსი	0:1
პაოკ	
ბოტაფოგო	2:1
პარტიზანი	
ძროული	1:1
კრ. პალასი	
კიდერმინსტერი	1:0
ჰერეფორდი	
მაკლსფილდი	1:2
ბლეძბერნი	
შელბურნი	1:1
მილუოლი	
დუბლინი	2:1
დანდი იუნ.	
გლენტორანი	2:1
ჰართსი	
კლიფტონვილი	0:6
იფსვიჩი	
ჰანოვერი — ბრაუნშვაიგი	გადაიდო

ისლანდია

I დივიზიონი

XI ტური

ფრამი	0:2
კეფლავიკი	
გრინდავიკი	2:2
თროტური	

ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

A ჯგუფი. I ტური

ბულგარეთი	0:1
უნგრეთი	
გერმანია	2:1
ესპანეთი	

B ჯგუფი. I ტური

ჩეხეთი	2:0
ინგლისი	
საბერძნეთი	1:1
იტალია	

უგვედეთი

ალსვენსკა. XIV ტური

იორებრო	2:1
სუნდსვალი	
მალმიო	2:4
ჰამარბი	

ფინეთი

ვეიკაუსლიგა

XII ტური

ინტერი	1:1
მიუპა	

ნორვეგია

ტიპელიგა

XIII ტური

ლინი	1:1
ბრანი	

ერთი წერილის ბევრი ამბავი

საქართველომ ტორპედოც დაკარგა!

კიდევ ერთი ცუდი ამბავი ქართულ საკლუბო ფეხბურთში: რამდენიმეწლიანი ჯახირის შემდეგ არსებობა შეწყვიტა ქვეყნის ერთერთმა ყველაზე ტიტულოვანმა, ავტორიტეტულმა და ამბიციურმა კლუბმა — ქუთაისის „ტორპედომ“.

წარსულის დიდების გახსენებას, აბა, ახლა რა აზრი აქვს. კლუბი აღარ არსებობს და ძველი რომ გავიხსენოთ, გული უნდა მოგვიკვდეს და კიდევ ერთხელ ჩავიქნიოთ ხელი ამ მამაძაღლურ ცხოვრებაზე...

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ, რომელმაც ორიოდ დღის წინ ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ საგაისო 2 მილიონი ლარის მიღების თაობაზე გამოაცხადა, გუშინ საფეხბურთო კლუბ ქუთაისის „ტორპედოსგან“ მომცრო წერილი მიიღო, ფინანსური პრობლემების გამო ჩვენი კლუბი სამომავლო ჩემპიონატში და თასის გათამაშებაში მონაწილეობას ვერ მიიღებსო. „ტორპედო“, ფაქტობრივად, აღარ არის, საფეხბურთო საქართველოს კი ქუთაისიდან მხოლოდ ერთი, სრულიად ახალი კლუბი „ტორპედო 2008“ დარჩა. „ტორპედო 2008“ არც იმ „ტორპედოს“ სამართალმემკვიდრეა, არც არანაირად დაკავშირებული, სულ სხვა გუნდია, ოღონდ ქუთაისური...

ზემოთ სიტყვა „ჯახირი“ ვახსენეთ და ახლა თვალის ერთი გადაკლებით გავიხსენოთ ის პერიოდი, რომელიც სახელოვანი „ტორპედოს“ დაშლას წინ უძღოდა: კლუბი, რომელსაც მოსკოვში მყოფი ბიზნესმენი ზურაბ ხინიკაძე პატრონობდა, ამ საუკუნის დასაწყისში ზედიზედ სამჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი და ეს ტიტული პირველმა დაათმობინა იქამდე უცვლელ ლიდერ თბილისის „დინამოს“. ქუთაისელებმა იმხანად ყველაფერი მოიგეს, რისი მოგებაც კი ამ ქვეყანაში შეიძლებოდა, მაგრამ ვერ მოიგეს მათი გულები, ვისაც ხინიკაძის შემდეგ სურდა „ტორპედოში“ მისვლა და საქმის კეთება და ვერც მათი, სამსახურეობრივი თუ სხვა მხრივ რომ იყო დაკავშირებული ფეხბურთთან. „ტორპედოს“ სტადიონი ერთის იყო, საწვრთნელი ბაზა მეორის, კლუბი — კიდევ მესამის...

ერთი სიტყვით, „ტორპედოს“ ყველა თავისკენ ექაჩებოდა და საბოლოოდ, -აი, რა მოხდა...

ერთი-ორი წელი „ტორპედოს“ თავი კომპანია „სამმა ტუზმა“ და გრიგოლ ხურციძემ თითქოს კი გაატანინეს, მაგრამ მერე... ხურციძე დაიჭირეს, ხოლო „სამ ტუზს“ ფული გამოელია. ასე დარჩა „ტორპედო“ ბედის ანაბარა. იმ პერიოდშიც, როცა კლუბს ფინანსური პოლიცია თუ საგადასახადო სამსახურები ხშირად სტუმრობდნენ, „ტორპედო“ ბოლომდე მაინც არ განადგურებულა, ერთი-ორი ფორმალური საკითხი მოგვარდა და „ტორპედო“ „ტორპედოდ“ დარჩა. კლუბში მისვლისა და გუნდის აყვავების რამდენიმე მსურველიც ჩანდა, მაგრამ ჩვენთან როგორც ხდება ხოლმე, ყველაფერი მე, შენ — თითქმის არაფერიო, ასეთი პასუხით ისტუმრებდნენ დაინტერესებულთ.

ბოლოს კი მხოლოდ გუშინდელი წერილი დარჩა.

...ჯერ წერილი არ დაუტოვებია, მაგრამ წერილის წაღების პირას კი არის „ბათუმი“, რომელსაც რამდენიმე წლის წინ ყველაფერი ჰქონდა, ახლა სულ აღარაფერი შერჩა. სტადიონი, რომლის ადგილმდებარეობის ნახვის შემდეგ ძალიან ბევრი უცხოელი გაოცებულა, საერთოდ განადგურებულია და იქ რაღაც სხვა შენდება. „ბათუმი“ ქალაქის განაპირას გადაისროლეს და სპორტული სკოლის მოედანი დაუთმეს, რომლის ტრიბუნაც სულ ორრიგიანი გახლდათ, ფეხბურთელებს კი ხშირად თვალი მესერსგაღმა ეპარებოდათ: იქით დისკოთეკა იყო. „ბათუმს“ ხან ვინ პატრონობდა, ხან — ვინ. ერთი პერიოდი, კლუბში ფული ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიჰქონდა, სხვადასხვა ფირმებსა და კერძო პირებს, მაგრამ... ფულის ტყუილად ხარჯვა მათაც მობეზრდათ და აგერ შედეგი, „ბათუმს“ ახლა ის, ადელის სტადიონად წოდებული ალაგიც აღარ შერჩება, მიწა გაყიდულიაო, ასე თქვეს. სადღეისოდ „ბათუმი“ პირველი ლიგის გუნდად ითვლება, მაგრამ კლუბში, თუ კი კლუბი კიდევ არის, ისეთი გაურკვეველი ვითარებაა, კაცს არ აქვს პასუხი, ითამაშებს თუ არა „ბათუმი“ პირველ ლიგაში. ნაცნობი სურათია, არა?!

„ბათუმს“ ხელის გულზე აქვს „ტორპედოს“ მაგალითი. „ტორპედოშიც“ ასე დაიწყო და როგორც დამთავრდა... იხილეთ პროფლიგაში მიტანილი გუშინდელი წერილი...



სხვათა შორის, აღრე „ტორპედო“, ახლა კი „ბათუმი“ უმაღლესი ლიგიდან პირველად გავარდნენ.

უფრო აღრე დაემშვიდობა უძლიერესთა ამქარს ფოთის „კოლხეთი“ და ეს გუნდიც დღემდე იქაა, სადაც მისი მეზობელი „ბათუმი“. „კოლხეთის“ ფინანსურ თუ სხვა ამბებზე ლაპარაკი ზედმეტია და ღმერთმა იცის, მომავალში რა იქნება, ქართული ფეხბურთის აკვნად წოდებულ ამ ქალაქის გუნდში. საქმე ისეა, რომ უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის თითქოს ზღვისპირა ეს ფეხბურთის თამაში არ შეიძლებოდეს. და ზოგადად, დახეთ, რა ხდება ქვეყნის ამ რეგიონში, სადაც დღესდღეობით საუკეთესო ალაგებია საიმისოდ, კაცმა მოინდომოს და, სპორტული ბაზები ააგოს. გრიგოლეთში იყო ერთი ასეთი კომპლექსი, მაგრამ იქაურობა, როგორც სხვაგან, გაპარტახებულია, თუ გაყიდული არ არის... ოზურგეთს გუნდი არ ჰყავს, არც ქობულეთს, ყოველ შემთხვევაში, ფაქტობრივად, არ ჰყავთ. ლანჩხუთის ზეობაც კარგა ხნის წინ ჩაბარდა ისტორიას. ეს მწარე მაგალითები არ კმაროდა, „შავ სიას“ ქუთაისის „ტორპედოც“ არ დამატებოდა?!

ისე, რაღა დავმალო და, ხანდახან ვფიქრობ კიდეც, უკეთესიც ხომ არ არის, ერთ დროს ჩვენი ბობოლა კლუბები უმაღლესიდან ერთმეორის მიყოლებით რომ ვარდებიან და იშლებიან ხოლმე... ქალაქი, რაიონის, კლუბის სახელს სირცვილის ლაქა დააჩნდება, ეგებ მაინ მაინც გამოფხიზლდნენ და საქმე ისე წაიყვანონ, ამ დაქცეულ ქვეყანაში ფეხბურთი მაინც გვიხარიოდეს...

ქუთაისი — არა, ბათუმი — არა, თელავი — არა, ფოთი — არა, გორი — არა... თითო კარგ გუნდს ან იმსახურებენ ეს ქალაქები და თი ქომაგები?!

და მაინც, პირადად ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის იმედი მაქვს, 2 მილიონი ლარ, უკვე გზაშია, სამომავლოდ კიდევ ბევრია გათვალისწინებულიო, ამბობენ. მედიაკომპანია „კოლხიდა“ თავის წილ ფულს უხდის პროფლიგას, ტელევიზორშიც უფრო ხშირად ჩანს ფეხბურთი, ნელ-ნელა ალბათ ინვესტორებიც მოვლენ, რაც თავისთავად რეკლამის მოტანას ნიშნავს და საგადასახადო სისტემაც ფეხბურთში მოსაქმე ხალხისთვის უფრო მოქნილი გახდება. ძალიან მსურს, ტყუილი სიტყვები არ გამომივიდეს...

ძოგა ინასარიძე

ქუთაისო, ჩვენო...

საქართველოში ტიტულებით მეორე გუნდი, ქუთაისის „ტორპედო“, პირველ ლიგაშიც აღარ ითამაშებს — ეს გადაწყვეტილება კლუბის მფლობელ კომპანია „სამი ტუზის“ და გენერალურ დირექტორ ვლადიმერ კაკაურიძის ერთობლივი თათბირის შემდეგ მიიღეს.

როგორც გაირკვა, კლუბს ამ ეტაპზე საარსებო საშუალება არ აქვს და ერთი სეზონის განმავლობაში ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარს აცხადებს. ოფიციალური წერილი უკვე მივიდა საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში. კლუბის პრესსამსახურის უფროს გოგა მინდელის თქმით კი, გაისად გუნდი ისევ ჩაებმება ჩემპიონატში.

ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ბუნებრივია, კლუბის აქციათა მფლობელი კომპანიის წარმომადგენლებთან გასაუბრება გუშინვე ვცადეთ, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, საქართველოში არ იმყოფებიან.

თუ გაისად „ტორპედო“ ისევ მიიღებს ჩემპიონატში მონაწილეობას, ყველაფრის დაწყება რეგიონალლიგიდან მოუწევს — ეს ინფორმაცია პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჯალიანმა დაგვიდასტურა. ჯერჯერობით არავინ იცის, „ტორპედოს“ რომელიმე კლუბი ჩანაცვლება პირველი ლიგის დასავლეთ ზონაში, თუ იქ 11 გუნდი ითამაშებს.

ბუნებრივია, გაოგნებულია ქუთაისელი გულშემატკივარიც და „ტორპედოს“ ასეთი ყოფა არც მეორე ქუთაისურ კლუბს, ახალშექმნილ „ტორპედო 2008“-ს უხარია...

„ეს ინფორმაცია თქვენგან შევიტყვე. რა თქმა უნდა, საწყენია, რომ „ტორპედო“ აღარ ითამაშებს. ჩვენ არავის ალტერნატივა და კონკურენტები არ ვართ, უფრო სწორად, ჯანსაღ კონკურენციას ვემხრობით. გვსურს, ქუთაისში „ტორპედოც“ ძლიერი იყოს და „ტორპედო 2008“-ც — გვითხრა ახალდაფუძნებული კლუბის დირექტორმა ვახტანგ კეკუამ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო ეროვნული ბიბლიოთეკიდან

გუშინ „ამერის“ ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. რამდენიმედღიანი უვარჯიშებლობა დასრულდა და გასარკვევიც გაირკვა — შვიდმა ფეხბურთელმა „ამერი“ დატოვა და გუშინ გიორგი ჩიხრაძემ განახევრებული გუნდი კუს ტბაზე ავარჯიშა. მოლოდინისამებრ, კლუბის ხელმძღვანელობამ, ვისაც საფეხბურთო საქართველო თავისი პრესტიჟისა და ღირსების დამცველად იცნობს, აბუნტებულ ფეხბურთელებს საქციელი არ მოუწონა და გადაწყვეტილებაც მიიღო: გიორგი დეკანოსიძე, სულიკო დავითაშვილი, რევაზ გოცირიძე, მიხეილ მესხი, თენგიზ ჩიკვილაძე, ვლადიმერ კაკაშვილი და არჩილ ალავიძე ტრანსფერზე არიან. კონტრაქტდამთავრებულ გივი დიდავას კი ხელშეკრულებას აღარ გაუგრძელებენ და, შესაბამისად, ისიც თავისუფალია... გუშინდელმა წვრთნამ კი საათსა და 20 წუთს გასტანა. ნავარჯიშევს **გიორგი ჩიხრაძეს** გავესაუბრეთ...

ამერმა გაფიცვას გარიცხვით უპასუხა

დეკანოსიძე, დავითაშვილი, გოცირიძე, მესხი, ჩიკვილაძე, კაკაშვილი, ალავიძე და დიდავა ყვითლები აღარ არიან!

— კარგია, რომ დასრულდა რამდენიმედღიანი უქმობა და ვაგრძელებთ ჩვენი პროფესიული მოვალეობის შესრულებას. „ამერი“ რამდენიმე ფეხბურთელს აუცილებლად შეიმატებს და გპირდებით, რომ ახალ სეზონში ბრძოლისუნარიანი გუნდი გვეყოლება.

— ვარჯიშს კუს ტბაზე გააგრძელებთ?

— ამიერიდან დღეში ორჯერადი წვრთნები გვექნება — ერთი ფიზიკური, მეორე კი აუცილებლად ბურთთან ერთად.

— უახლოეს დღეებში ამხანაგური მატჩები თუ გაქვთ დაგეგმილი?

— ორი ამხანაგური მატჩი კი გვქონდა დაგეგმილი ზაქათალის „სიმურგთან“ და ბაქოს „ოლიმპიკთან“, მაგრამ ყველასთვის ცნობილი მოვლენების გამო ეს შეხვედრები აღარ შედგა. უახლოეს ტესტ-მატჩს კი 18 ივლისს გავმართავთ საქართველოს მოყვარულთა ნაკრებთან.

ნუგრი ლოლაძე

ფოტო ეროვნული ბიბლიოთეკიდან

დღეს სიონი ზღვაზე მიდის

ბოლნისის „სიონი“ დღეს სამედიცინო შემოწმებას გაივლის და გრიგოლეთში წავა ორკვირიან შეკრებაზე.

ბოლნისელებს ტესტ-მატჩები უკვე დაგეგმილი აქვთ — 17 ივლისს თბილისის „ლოკომოტივთან“, 20-ში ზუგდიდის „ბაიასთან“, 24 ივლისს კი საჩხერის „ჩიხურასთან“. სავარაუდოდ, რუსთავის „ოლიმპს“ და ფოთის „კოლხეთსაც“ გაეჯიბრებიან, თუმცა თარიღები ჯერ დადგენილი არ არის.

მწვრთნელ ოთარ კორღალიძეს გრიგოლეთში ეს ფეხბურთელები მიყავს: *ზ. მამალაძე, მ. ბობღიაშვილი, მ. ქურასბედიანი, დ. სვანიძე, რ. ქემოკლიძე, ლ. სილაგაძე, გ. ხუბუა, ლ. სანიკიძე, ზ. ავალიანი, ა. კოშკაძე, ზ. ჭელიძე, ლ. ბაჯელიძე, ლ. შაგულიძე, გ. ოქროპირიძე, ბ. ნოზაძე, შ. ჯიქია, ბ. გონჩაროვი, ი. შენგელია.*

როგორც შევიტყვეთ, არ არის გამორიცხული, ამ სიას კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი შეემატოს...

ნუგრი ლოლაძე



საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრებების ერთ-ერთმა ლიდერმა **დავით თარგამაძემ** არჩევანი გააკეთა — „ფრაიბურგთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. თარგამაძეს კარგი სეზონი ჰქონდა და გერმანულ კლუბებს საქმეც გაუჩინა, თუმცა „ფრაიბურგმა“ ქართველი ფეხბურთელი არავის დაუთმო და გუშინ კონტრაქტიც გაფორმდა... თარგამაძეს გერმანიაში გუშინვე შევეხმიანეთ...

თარგამაძემ 2-წლიანი ფრაიბურგი გადაწყვიტა

— რამდენად კმაყოფილი ხარ შემოთავაზებული პირობებით?

— ყველაფრით კმაყოფილი ვარ, კონტრაქტი 2-წლიანია და ძალიან მიხარია, რომ ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც მინდოდა.

— როგორც ვიცით, „ფრაიბურგს“ 4-წლიანი კონტრაქტის გაფორმება უნდოდა?

— ასე იყო, მაგრამ 4-წლიანი მე აღარ მაწყობდა. მოლაპარაკებებისას არჩილ არველაძემ და ალექსანდრე იაშვილმა იაქტიურეს და „ფრაიბურგს“ 2-წლიანზე შეუთანხმდნენ. აქ ოთხი წლით დარჩენა ჩემთვის სასურველი არ იყო.

— ნომერი უკვე მოგცეს?

— ჯერ არა, მალე მომცემენ.

— და რა ნომერს ირჩევ?

— ჯერ არ არის გადაწყვეტილი. რა ნომრებიც მე მინდოდა, ყველა დაკავებულია და ახლა დანარჩენი კლუბის გადასაწყვეტია.

— პრეზენტაცია თუ იგეგმება?

— ჯერ თბილისში უნდა ჩამოვიდე სამუშაო ვიზის გასაგრძელებლად და უკან რომ დავბრუნდები, ჩემი პრეზენტაციაც მერე იქნება.

— ბუნდესლიგური ვარიანტებიც გქონდა: რატომ არ გამოვიდა „კარლსრუე“ ან „მიონხენგლადბახი“?

— ეს ვარიანტებიც ძალიან რეალური იყო, მაგრამ „ფრაიბურგში“ დარჩენა გადავწყვიტე. ჯობია, ეს ორი წელი აქ ვითამაშო, კარგად მოვემზადო და მერე გადავიდე უკეთეს კლუბში.

— შენი აზრით, „ფრაიბურგის“ ძირითადში თამაშის შანსი რამდენად გაქვს?

— ეს უკვე ჩემზეა დამოკიდებული. რაც მთავარია, მწვრთნელმა იცის ჩემი შესაძლებლობები.

— უკვე გელაპარაკა?

— ჯერ არა. თუმცა ჩემი თამაში ნანახი აქვს.

— როგორ ფიქრობ, რამდენად ხარ მზად მეორე ბუნდესლიგაში სათამაშოდ?

— ყოველ შემთხვევაში, არაფრის მეშინია და ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული.

ძახა შალამბერიძე

გაგრა მოყვარულებს ფრეზე გაეყარა

ჭიათურის „მაღაროელის“ ნაცვლად უმაღლეს ლიგაში აღზევებულმა „გაგრამ“ გუშინ კიდევ ერთი ტესტ-მატჩი გამართა — მეტოქედ საქართველოს მოყვარულთა ნაკრები ჰყავდა და შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა.

გაგრელები 38-ე წუთზე კორიფაძემ დააწინაურა, თუმც მოყვარულებმა გოლის გაქვითვა მოახერხეს.

გაგრელთა მთავარმა მწვრთნელმა გია ჭიაბრიშვილმა ბლომად ფეხბურთელები გასინჯა, სასტარტო შემადგენლობა კი ასეთი გახლდათ: *გლუნჩაძე, დარსაძე, ხუხია, ა. ტეტუნაშვილი, ბ. ტეტუნაშვილი, ინჯგია, გელაშვილი, ხელაძე, მ. მესხი, კაჭახმაძე, კორიფაძე.*

ნუგრი ლოლაძე

დანია-პოლონეთ-ბულგარეთზე უკეთესი საქართველოა?!

პირდაპირ ვთქვათ: ძალიან უცნაური რეიტინგი გამოაქვეყნა მსოფლიო ფეხბურთის საერთაშორისო სტატისტიკის ასოციაციამ, რომელშიც ქვეყნები კლუბების სიძლიერის მიხედვითაა დანომრილი. ეს ცხრილი ადრეც გამოქვეყნებულა, თუმც ამჯერად შეცვლილია კრიტერიუმები — კერძოდ, დამატებულია ამხანაგურ მატჩებში ნაჩვენები შედეგები, ჩემპიონატის დაძაბულობის შკალა...

და უცნაურია, მაგრამ ჩილე უსწრებს პორტუგალიას, რუსეთს, შოტლანდიას... უზბეკეთი ჩეხეთზე წინაა, საქართველო კი — პოლონეთს, ბულგარეთს, დანიას და კიდევ ბევრ ისეთს ჯობნის, რომლებზეც, ძალიან კი გვინდა, დავიჯეროთ, რომ უკეთესი ჩემპიონატი გვაქვს, მაგრამ...

საქართველო 54-ეა ამ რეიტინგში.

ილია ნანობაშვილი

1.	არგენტინა	643,0
2.	ინგლისი	652,0
3.	ბრაზილია	555,0
4.	იტალია	505,0
6.	გერმანია	446,0
7.	მექსიკა	431,5
8.	საფრანგეთი	391,0
9.	ჩილე	359,0
10.	პორტუგალია	321,0
54.	საქართველო	149,0

ნალჩიკის ქართველები ტრავმებში ეჯიბრებიან

ამისულაშვილს თავზე ათი ნაკერი დაადეს

ისე გამოდის, ნალჩიკის „სპარტაკის“ ქართველი ლეგიონერები რიგ-რიგობით იღებენ ტრავმებს.

ჯერ იყო, დავით სირაძემ ცხვირი გაიტეხა, მერე კი სიცხე ჰქონდა; წინა დღეებში გოგიტა გოგუა გახდა ავად, ახლა კი ალეკო ამისულაშვილის „ჯერი“ დადგა.

ნალჩიკელთა ამ სეზონის საუკეთესო მეგოლე ამისულაშვილმა „ტომთან“ შეხვედრაში ის ორგანო გაიტეხა, რომელმაც ყაბარდოელებს „ზენიტი“ დაამარცხებინა — თავის ტრავმა იმდენად სერიოზული იყო, რომ ქართველ მცველს 10 ნაკერი დაადეს.

სავარაუდოდ, ალეკო ერთ მატჩს გამოტოვებს — 16 აგვისტოს „კრილია სოვეტოვთან“.

ილია ნანოგაშვილი

ავთანდილ ასათიანი (მარცხნივ)

გადრი ქეთილაძის ფოტო

ნაკრების თავი კაპიტანია

სამიოდ დღის წინ პეტრე თაბუკაშვილის ნაცვლად საქართველოს ფუტსალის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა გამოცდილი ფეხბურთელი ავთანდილ ასათიანი. ის უკვე ხუთი წელია, ფუტსალშია და აქედან ბოლო წელიწადნახევრია, ეროვნული ნაკრების კაპიტანია.

ასათიანს მწვრთნელობის პრაქტიკაც აქვს — საფეხბურთო კლუბ „ყაზბეგში“ მოთამაშე-მწვრთნელია.

ავთანდილ ასათიანი: „ვიცი, რომ ნაკრების მწვრთნელობა ძალიან მძიმე ტვირთია, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, რათა ნაკრები ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოვიდეს. საქართველოს ნაკრებს ამის პოტენციალი აქვს და ახლა მთავარია, გუნდში კონკურენცია გავამძაფროთ. მე მჯერა იმ ბიჭების, ვინც ჩემ გვერდით არიან და ყველას მივცემ შანსს, დაამტკიცონ, რომ ნაკრებში თამაშს იმსახურებენ. კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდი ნდობისთვის ფუტსალის ასოციაციას და მის პრეზიდენტს. ყველანაირად ვეცდები, გავამართლო იმედები“.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა საერთაშორისო ტურნირ „მუნდიალიტოზე“ ბოლო ადგილი დაიკავა და თან სამარცხვინოდ წააგო (1:18) მასპინძელ პორტუგალიასთან. სწორედ ამის შემდეგ გადაწყდა თაბუკაშვილის გათავისუფლება.

ნეკო ოსეფაიშვილი

ტატანაშვილი სტიაუასთან

ექსამერელი დიმიტრი ტატანაშვილი და მისი „პლზენი“ ლამის ყოველ მეორე დღეს ტესტ-მატჩებს თამაშობენ. ამჯერად ჩეხური კლუბი აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან გუნდ „სტიაუას“ 1:1-ზე გაეყარა.

ტატანაშვილმა ეს მატჩი ძირითადში დაიწყო და ბოლოსკენ შეცვალეს. „პლზენი“ 33-ე წუთზე რუმინელთა ავტოგოლით დაწინაურდა, თუმცა მალევე გაუშვა საპასუხო.

ილია ნანოგაშვილი

წაგებაში არავის ვადანაშაულებთ

რუსული პრემიერლიგის მე-13 ტურში, მოსკოვურ დერბიში „დინამოსთან“ 2:4 დამარცხების შემდეგ, „ლოკომოტივის“ ქართველმა მცველმა მალხაზ ასათიანმა, რუსულ „სპორტ-ექსპრესს“ მცირე ინტერვიუ მისცა და მოდით, ვნახოთ, რა შთაბეჭდილება დარჩა მატჩზე საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს...

— მთლიანობაში როგორ შეაფასებდით მატჩს?

— უფრო ყურადღებით რომ ვყოფილიყავით, შესაძლოა, თამაში სულ სხვა ანგარიშით დასრულებულიყო. თუმცა, რას ვიზამთ, ასეთია ფეხბურთი — არ გაიტან და გაგიტანენ. 1:2-ს რომ ვაგებდით, რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი შევქმენით, რომლებიც ვერ გამოვიყენეთ. მერე კი რამდენიმე შეცდომა დავუშვით და დინამოელებს ბურთის გატანის საშუალება მივეცით.

— ეს წარუმატებლობა „ლოკომოტივის“ მომავალ მატჩებზე უარყოფითად ხომ არ აისახება?

— შევეცდებით, არ აისახოს. ცხადია, საწყენია რომ წავაგეთ, მით უმეტეს, ასეთი ანგარიშით...

— ხომ არ გეჩვენებათ, რომ არბიტრმა „დინამოს“ სასარგებლოდ რამდენიმე შეცდომა დაუშვა?

— არა. „დინამოსთან“ მარცხში სხვის დადანაშაულებას არ ვაპირებ, რადგან ყველაფერში დამნაშავენი ჩვენ ვართ. შევეცდებით, მომავალში მსგავსი რამ აღარ გავიმეოროთ.

— მატჩის შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა რაშიდ რახიმოვმა რა გითხრათ?

— განსაკუთრებული არაფერი უთქვამს. თავადაც ყველაფერი ვიცით და წაგებით ყველა იმედგაცრუებულნი ვართ.



ქართველები უცხოეთში

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
ავსტრია. ბუნდესლიგა								
გიორგი შაშიაშვილი	შტურმი	შ	რაპიდი 3:1	90	გააფრთხილეს	1	0	4
ილია კანდელაკი	შტურმი	შ	რაპიდი 3:1	90		1	0	4
ავსტრია. ერსტელიგა								
მირზა ბჟალავა	ა. ლუშტენაუ	ს	გრიოდიგი 0:2	70	გააფრთხილეს, შეცვალეს	1	0	10
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	ს	დინამო 2:4	90	გააფრთხილეს	4	0	6
დავით მუჯირი	ლოკომოტივი	ს	დინამო 2:4	0	განაცხადში არ იყო	3	0	6
დავით კვირკველია	რუბინი	შ	სატურნი — გად.			11	2	1
ლაშა სალუქვაძე	რუბინი	შ	სატურნი — გად.			5	0	1
ნუკრი რევიშვილი	რუბინი	შ	სატურნი — გად.			0	0	1
გოგიტა გოგუა	ნალჩიკი	ს	ტომი 0:1	0	განაცხადში არ იყო	8	0	5
ალექსანდრე ამისულაშვილი	ნალჩიკი	ს	ტომი 0:1	90		13	2	5
დავით სირაძე	ნალჩიკი	ს	ტომი 0:1	84	გააფრთხილეს, შეცვალეს	11	1	5
ლევან გეზაზავა	ლუჩ-ენერგია	ს	ამკარი 0:2	73	შეცვალეს	9	1	15
რუსეთი. პირველი დივიზიონი								
გედევან დარასელია	ტორპედო	შ	სკა 1:0	0		0	0	18
ვალერი აბრამიძე	ანჟი	ს	ბრიანსკი 5:1	90		20	1	2
გიორგი ნავალოვსკი	ანჟი	ს	ბრიანსკი 5:1	90		17	0	2
მიხეილ აშვეთია	ანჟი	ს	ბრიანსკი 5:1	75	1 გოლი, შეცვალეს	19	8	2
ზურაბ არზიანი	ანჟი	ს	ბრიანსკი 5:1	0		15	0	2
რევაზ ჯიქია	ანჟი	ს	ბრიანსკი 5:1	15	შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი	13	3	2
გოჩა ხოჯავა	ანჟი	ს	ბრიანსკი 5:1	45	შეცვლაზე, საგოლე პასი	19	1	2
რევაზ ბარაბაძე	ანჟი	ს	ბრიანსკი 5:1	0		7	0	2
პაატა ჯინჭარაძე	ბრიანსკი	შ	ანჟი 1:5	89	შეცვალეს	18	0	22
გია გრიგალავა	სკა	ს	ტორპედო 0:1	90		6	0	10
მოლდოვა. ნაციონალური დივიზიონი								
ჯაბა დვალი	დაჩია	ს	ზიმბრუ 1:2	90		2	1	4
ლევან კორღალიძე	დაჩია	ს	ზიმბრუ 1:2	90		2	0	4
სერგი ორბელაძე	დაჩია	ს	ზიმბრუ 1:2	90	გააფრთხილეს	2	1	4
ვაჟა თარხნიშვილი	შერიფი	შ	ნისტრუ 2:1	90		3	0	1
მამუკა ლომიძე	ზიმბრუ	შ	დაჩია 2:1	90		3	0	2

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

მილანის პრობლემა სიტია

ბრაზილიელი ვარსკვლავის რონალდინიოს სატრანსფერო საგა, როგორც ჩანს, დასასრულს უახლოვდება. ფეხბურთელს „მილანში“ გადასვლა უნდა და „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი მის აგენტთან და „ბარსელონას“ უფროსობასთან მოლაპარაკებებს აგრძელებს, მაგრამ არის ერთი „პრობლემა“ — „მანჩესტერ სიტი“...

საქმე ის არის, რომ „მილანი“ რონალდინიოში 15 მილიონ ევროს იხდის, ინგლისური კლუბი კი დაახლოებით ორმაგს. იტალიურ-ესპანური პრესის ცნობით, ბრაზილიელს უთქვამს, ლოდინით დავიღალე და თუ „როსონერი“ ერთ-ორ დღეში „სიტის“ დარ წინადადებას არ შემოგვთავაზებს, მანჩესტერელთა რიგებში ჩავირიცხებიო.

აქედან გამომდინარე, წესით, რონალდინიოს ახალი გუნდის ვინაობა სულ მალე უნდა გავიგოთ. „მილანის“ ნახევარმცველ ჯენარო გატუზოს იმედი აქვს, რომ ბრაზილიელი მისი თანაკლუბელი გახდება.

„მისი მოსვლა ძალიან გაგვახარებს, რადგან ნამდვილი ჩემპიონია. ყური არ უგდოთ ჭორებს, თითქოს გასუქდა და ასე შემდეგ, პრობლემა სხვა რამაა. რონალდინიოს თამაში ნამდვილად არ დაავიწყდებოდა და სწორედ მისნაირი ფეხბურთელი გვჭირდება“ — თქვა გატუზომ.

და ბოლოს, კიდევ ერთი მილანური ამბავი — კლუბის ბრაზილიელი მეკარის ნელსონ დიდას შესახებ. როგორც იცით, ბოლო პერიოდში იგი ძალიან ცუდ ფორმაში იყო, და ძირითად შემადგენლობაში ადგილი ჟელკო კალაჩს გადაულოცა. თუმცა დიდა ირწმუნება, რომ პირველნომერობასაც დაიბრუნებს, ფანების ნდობასაც და სიყვარულსაც.

„თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. მშვიდად ვარ და მახარებს, რომ ბოლო-ბოლო, სრულად მოვირჩინე ტრავმა. პირველმეკარეობა არასდროს მქონია გარანტირებული და ამას არც ვითხოვდი. ძალიან შემართული გახლავართ და ყველაფერს გავაკეთებ, რათა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავიბრუნო. დანარჩენი მწვრთნელის გადასაწყვეტია“ — აღნიშნა დიდამ.

ძოკი ძანდელაძი

კრისტიან ლედესმა

ის არ არის ლამაზი



ფრენკ ლამპარდი

წარსულში დიდებული იტალიელი ფეხბურთელი, „ჩელსის“ ყოფილი ვარსკვლავი ჯანფრანკო ძოლა ლონდონელთა დღევანდელ გმირ ფრენკ ლამპარდზე ამბობს, რომ ის უტეხი სულისა და გამარჯვებულის მენტალიტეტის მქონე ადამიანია, რაც იტალიაში დიდ წარმატებას მოუტანს — მოგეხსენებათ, ლამპარდს ჯერ კიდევ აქვს იმედი, რომ ამ ზაფხულს „ჩელსიდან“ „ინტერში“ გადავა, მიუხედავად იმისა, რომ „სტემფორდ ბრიჯიდან“ მის გაშვებას არავინ აპირებს და დღენიადაგ იმეორებენ, რაკიღა ჩვენთან კონტრაქტი გაქვს, პატივი უნდა გვცე და გვიერთგულოო.

შეგახსენებთ, რომ ერთი ხნის წინ მილანელებმა ლონდონში ფაქსი აფრინეს და „ლურჯებს“ ლამპარდში 8 მილიონი გირვანქა შეაძლიეს, მაგრამ ამ უკანასკნელებმა შორს დაიჭირეს და ლამპარდიცა და თავიც ასეთ დღეში ჩააგდეს: ერთი წლის შემდეგ, როდესაც დღეს მოქმედი პატივსაცემი კონტრაქტი ძალას დაკარგავს, ნახევარმცველი ყოველგვარი ვალედებულებებისგან განთავისუფლდება და თავისუფალი აგენტის სტატუსით წავა.

ძოლას კი „ჩელსიში“ შვიდი წელიწადი აქვს გატარებული და იმხანად ახალგაზრდა ლამპარდთან ერთად ბურთიც უგორია, ასე რომ, ამ კაცს დაეჯერება:

„ფრენკი უნიკალური, მსოფლიოში გამორჩეული კაცია. ის ნახევარმცველია და იმავდროულად სეზონში 20 გოლის გატანა შეუძლია. ფანებმა, რომლებიც იტალიაში მის ჩამოსვლას დიდი მოუთმენლობით ელიან, უნდა იცოდნენ, რომ ის შეიძლება ლამაზად ვერ თამაშობს, მაგრამ ნამდვილი მებრძოლი და გამარჯვებულია“.

პაპუნა ძედია

ლაციოდან გარბიან

რომის „ლაციოს“ წამყვანი ფეხბურთელების შენარჩუნებასთან დაკავშირებით ისევ პრობლემა აქვს. რამდენიმე მათგანი ხელფასის გაზრდას ითხოვს.

ერთ-ერთია გორან პანდევიც, რომელმაც კლუბის უფროსობას კატეგორიულად განუცხადა, თუ ახალ კონტრაქტს ისეთი პირობებით არ შემომთავაზებთ, როგორიც მე მაწყობს, გუნდს დავტოვებო.

მოქმედი შეთანხმების ძალით, პანდევი 2010 წლის ივნისამდე „ბიანკოჩელესტის“ საკუთრებაა, მაგრამ ფიფას წესების თანახმად, მაკედონიელ თავდამსხმელს უფლება აქვს, თავისი ორი წლის ხელფასის საფასურად თავისუფალი აგენტი გახდეს და ახალ გუნდში ჩაირიცხოს.

„პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო ამბობს, რომ ჩემი შენარჩუნება უნდა, მაგრამ მოთხოვნებს არ მიკმაყოფილებს. მოლაპარაკება ალბათ კიდევ 2-3 თვე გაგრძელდება. თუ შეთანხმებას ვერ მივაღწევთ, მომავალ ზაფხულს ფიფას წესს გამოვიყენებ და თავისუფალი აგენტი გავხდები. აქ თავს კარგად ვგრძნობ და იმედია, ყველაფერი მოგვარდება“ — თქვა 25 წლის პანდევმა.

მსგავსი ვითარებაა კრისტიან ლედესმას შემთხვევაშიც. ოღონდ, როგორც ჩანს, იტალიური ფესვების მქონე არგენტინელი ნაკლებადაა მოწადინებული „ლაციოსთან“ შეთანხმების მიღწევით და მომავალ ზაფხულს კონტრაქტის გამოსყიდვა და კლუბის დატოვება უკვე გადაწყვეტილი აქვს. ამის მიზეზი ლოტიტოსთან კონფლიქტია.

„ჩვენი კომენტარების მერე, ლოტიტო ძალიან გაბრაზდა და შეხვედრა დამინიშნა, მაგრამ არ მოვიდა. იგი ძალიან გაბრაზებული იყო და რომ დავურეკე, განმიცხადა, ფეხბურთელების კონტრაქტებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს მხოლოდ მე ვიღებო. ეს ლედესმას ვუთხრი და მანაც მიპასუხა, „ლაციოში“ აღარანაირი შემოთავაზების შემთხვევაშიც არ დავრჩებიო. არადა, კრისტიანი ნამდვილი პროფესიონალი და კარგი ადამიანია. მას დარჩენა და გუნდის დახმრება უნდოდა, ლოტიტოს შანსი მივეცით, მაგრამ... ფიფას წესების თანახმად, მომავალ ზაფხულს კონტრაქტის გამოსყიდვის შემდეგ, ლედესმას სხვა იტალიურ კლუბში გადასვლა არ შეეძლება, რაც სამწუხაროა. „ინტერის“, „იუვენტუსისა“ და „ფიორენტინას“ მხრიდან იყო დაინტერესება. უცხოეთს რაც შეეხება, კრისტიანი ძალიან მოსწონს მადრიდის „რეალს“. „ვილიარეალი“ და „ატლეტიკოც“ გვეხმიანებიან. მოკლედ, ბევრი ვარიანტი გვაქვს“ — განაცხადა ლედესმას აგენტმა ვინჩენცო დიპოლიტომ.

„ბიანკოჩელესტის“ მწვრთნელი დელიო როსი კი კონტრაქტზე და პრობლემებზე არ საუბრობს. იგი კმაყოფილია იმით, თუ როგორ დაიწყო კლუბმა მომავალი სეზონისთვის მზადება.

„ყველაფერი კარგად დაიწყო და ასე უნდა გავაგრძელოთ. მთავარია, გუნდური სულისკვეთება გვქონდეს. სწორედ ისეთი, როგორიც ბოლო ორ წელიწადში გვქონდა. ეს კი პირადზე წინ კლუბის ინტერესების დაყენებას ნიშნავს. ახალწვეულებით კმაყოფილი ვარ, მაგრამ მათ შესაძლებლობები მინდორზე უნდა გამოავლინონ.

ძოკი ძანდელაძი

გაყიდე, რათა იყიდო

მადრიდის „რეალის“ ბრაზილიელმა ვარსკვლასმა რობინიომ განაცხადა, რომ „სანტიაგო ბერნაბეუდან“ სხვაგან გადაბარგება არ უნდა.

რობინიო

კეთილი, მაგრამ რატომ წამოჰყო ამ თემამ თავი? საქმე ის გახლავთ, რომ რობინიოსადმი დიდი ინტერესი „ჩელსიმ“ გამოავლინა, ამის გამგონე გაზეთებმა კი დაწერეს, ბრაზილიელის ლონდონში გაყიდვით „რეალმა“ შეიძლება სწორედ ის თანხა იშოვნოს, „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ კრიშტიანუ რონალდუს გადმოსაბირებლად რომ აკლიაო.

„დღეს მხოლოდ და მხოლოდ „რეალზე“ ვფიქრობ — უთხრა სამშოლოდან ესპანეთში დაბრუნებულმა რობინიომ AS-ის ჟურნალისტებს გაცვეთილი სიტყვები — რონალდუს ყიდვის ოპერაციაში მონაწილეობისთვის სულაც არ გახლავართ მზად. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემზე „რეალიც“ ასევე ფიქრობს და მოახლოებულ სეზონსაც მადრიდში გავატარებ“.

პაპუნა ძედია

კაცი თერთმეტი მეტრიდან

მაიკლ კარიკი

ვერ გეტყვით, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ კრიშტიანუ რონალდუს გარდაუვალ წასვლას თანდათან ეგუება, მაგრამ „აბერდინთან“ ამხანაგური მატჩის შემდეგ (მანჩესტერელებმა 2:0 მოიგეს) მაიკლ კარიკმა განაცხადა, რონალდუს შემდეგ გუნდის მთავარი მეპენალტე მე ვიქნებიო.

თუ კარგად გახსოვთ, კარიკმა მოსკოვში, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ჩელსის“ ჩემპიონთალიგურ ფინალშიც დაარტყა ერთ-ერთი თერთმეტმეტრიანი და, როგორც ამ საქმის სპეციალისტები ამბობენ, ჩინებულადაც გამოუვიდა, უპირველეს ყოვლისა, ნერვების სიმტკიცის თვალსაზრისით.

და სწორედ ასეთივე შთამბეჭდავი პენალტი დაარტყა კარიკმა „აბერდინის“ მიერ თასების მფლობელთა თასის აღების 25 წლისთავზეც — რა თქმა უნდა, იცით, რომ მეოთხედი საუკუნის წინ ის თასი შოტლანდიურ გუნდს „მანჩესტერ იუნაიტედის“ დღევანდელმა თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა მოაგებინა.

კარიკის დარტყმა ასეთი გახლდათ: მან მეტოქის მეკარე ჯეიმი ლენგფილდი მშვიდად დაწვინა თავისგან მარცხნივ და ბურთი მარჯვნივ, დაბლა დაუმიზნა.

ასე და ამგვარად, რონალდუს მეპენალტე-კონკურენტი გამოუჩნდა, უფრო სწორად კი, თუ პორტუგალიელი ოცნებას აისრულებს და „რეალში“ გადავა, მანჩესტერელები თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან უპატრონოდ არ დარჩებიან.

კარიკმა ჟურნალისტებთან საუბარში ასე განაცხადა: „გოლის გატანა და თავის გამოჩენა, ბუნებრივია, ყოველთვის ძალიან სასიამოვნოა, მე კი ეს საქმე ყველაზე მეტად პენალტით მიყვარს. თუ მათი დარტყმის საშუალება მომეცემა, სიამოვნებით, დავარტყამ. სეზონი ძალიან მალე დაიწყება და ბედნიერი ვარ, რომ წეიძლება იმ საქმეს დავუბრუნდე, რომლისთვისაც ერთი ხანი თავი მქონდა დანებებული“.

აბერდინში თამაშის შემდეგ კარიკი და ძმანი მისნი თვითმფრინავში ჩასხდნენ და სამხრეთ აფრიკისკენ გაეშურნენ, სადაც შაბათიდან მოყოლებული სამი ამხანაგური შეხვედრა უნდა გამართონ.

ისევ კარიკი: „მთელი 90 წუთით თამაში ძალიან კარგი იყო, გამომაცოცხლა. ახლა სამხრეთ აფრიკაშიც გავაგორებთ ბურთს და, მართალია, საუკეთესო ფორმისგან ჯერ ძალიან შორს ვართ, ნელ-ნელა ყველაფერს თავის ადგილზე დავაყენებთ. ჯერ ხომ სეზონისწინა პერიოდია და კარგ ფორმაში ყოფნა არც არის საჭირო“.

შემდეგ, მანჩესტერელთა ახალ მეპენალტეს ასისტენტი მწვრთნელის, კარლუშ კეირუშის წასვლაზე ჰ კითხეს — მოგეხსენებათ, კეირუში პორტუგალიიის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში.

„გუნდიდან ხალხის წასვლა ყოველთვის სამწუხაროა — მიუგო კარიკმა — კარლუშს ჩვენი გუნდის გაძღოლაში ბოსთან ერთად უდიდესი როლი ეკუთვნოდა, მაგრამ ის ახალმა გამოწვევამ გაიტაცა. ჩვენ, ფეხბურთელებს მისი გვესმის და ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებთ“.

მაგრამ „იუნაიტედი“ ფერგიუსონის თანაშემწის გარეშე რომ დარჩა?

„არა მგონია, მისი ადგილის შევსება საჭარო იყოს. დრო და დაცდა საჭირო. კეირუშის ზუსტ შემცვლელს, აბა, როგორ იპოვნი. ის ძალიან კარგი ადამიანი და უამრავი ინიციატივის ავტორი იყო. პირადად ჩემს მიართ ყოველთვის გულწრფელი და მეგობრული გახლდათ. დიახ, კარლუშის წასვლა ძალიან მეწყინა, მაგრამ როდესაც შენი ქვეყნის ეროვნული გუნდი გეძახის, შეუძლებელია, ამ ძახილისადმი გულგრილი დარჩე“.

ხოლო ზეპ ბლატერის ყბადაღებულ ნათქვამზე მონათმფლობელობასთან დაკავშირებით, კარიკმა ასეთი კომენტარი გააკეთა.

„მე აქ ფეხბურთზე სალაპარაკოდ გახლდით მოსული“ — და პრესკონფერენციაც ამით დასრულდა.

პაპუნა კედია

ვის რად უნდა ქალის თქმა?

გასულ სეზონში რიო ფერდინანდმა „სტემფორდ ბრიჯზე“ თავი მოიგიჟიანა და არ არის გამორიცხული, ეს ამბავი ახლა დაუჯდეს ძვირად — ამბობენ, ინგლისის ნაკრების კაპიტნობას ჩამოართმევენო.

კიდევ, 30 წლის ფერდინანდს, შეიძლება, ოთხი თამაში გამოატოვებინონ და 200 ათასი გირვანქაც ჩამოაჭრან. მიზეზი: „ჩელსისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეხვედრის შემდეგ ფერდინანდი ისე გასულელდა, რომ სტადიონის ქალ სტიუარდს ხელითაც კი შეეხო.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის შესაბამისმა კომისიამ აპრილში მომხდარი ინციდენტი კარგად გამოიკვლია და დაადგინა, რომ სტიაურდი გახლდათ ტრეისი ვრეი, მის თავს გადახდენილი ამბავი კი ზოგი ვიდეო, ზოგი ფოტო და ზოგიც ზეპირი მასალით დაადგინა.

ტრეისი ვრეისთვის „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანს ისე დაურტყამს, რომ თეძო ჩალურჯებია და საავადმყოფოშიც კი გამხდარა მისასვლელი. ის, რომ ბოდიშის ნიშნად ფერდინანდმა მოგვიანებით ყვავილები გაუგზავნა, შემამსუბუქებელ გარემოებად, ეტყობა, არ ითვლება.

მალე ყველაფერი საბოლოოდ გაირკვევა და თავის ადგილზე დადგება, რის შემდეგაც ფერდინანდს ზემოთქმული სასჯელი ხომ ელის და თავისი ფეხბურთელების ვერმოთოკვისთვის შეიძლება კლუბიც დასჯონ.

ერთი სიტყვით, 20 აგვისტოს „უემბლიზე“ ინგლისისა და ჩეხეთის ნაკრებთა ამხანაგურ შეხვედრაში მასპინძლებს მოედანზე ახალი კაპიტანი რომ გამოუძღვეთ, არ უნდა გაგვიკვირდეს.

მაგრამ ვინ იქნება ინგლისელთა ახალი კაპიტანი? მწვრთნელი ფაბიო კაპელო, სავარაუდოდ, ჩელსელ ჯონ


რიო ფერდინანდი

ტერისა და ლივერპულელ სტივენ ჯერარდს შორის აარჩევს.

ხოლო გამოძიება „სტემფორდ ბრიჯზე“ მომხდარი ინციდენტის შესახებ ჯერ არ დასრულებულა. ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტისთვის ცნობილია, რომ მატჩის შემდეგ სტადიონის პერსონალთან ჩხუბში „მანჩესტერ იუნაიტედის“ კიდევ ექვსმა მოთამაშემ მიიღო მონაწილეობა და მათი ვინაობა და ჩადენილი დანაშაული დგინდება.

შეგახსენებთ, რომ მატჩი, რომელმაც ასეთი დავიდარაბა გამოიწვია, ლონდონელთა გამარჯვებით დასრულდა, 2:1.

პაპუნა კედია

სისოკო ბარაკ ობამას ფანია

მალელი მოჰამედ სისოკო ტურინის „იუვენტუსისთვის“ უკვე ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეა და „ბებერი ქალბატონის“ ხელმძღვანელობას ეიმედება, რომ იგი ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებამდე ტრავმის მოშუშებას მოასწრებს. სისოკოს „გაძეტა დელო სპორტის“ ჟურნალისტი გაესაუბრა

— ფეხი როგორ გაქვთ?

— მე ახლაც დავიწყებდი თამაშს, მაგრამ ექიმები ამბობენ, ბოლომდე მოშუშებული ჯერ არ ხარ, კიდევ საკმაო ხანი უნდა დაისვენო, რათა ტრავმა არ გაგიმიზეზდესო.

— აგვისტოს შუაში, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზად იქნებით?

— დიახ, არა მგონია, პრობლემა გაჩნდეს, რადგან თავს უკვე მართლაც კარგად ვგრძნობ.

— როგორ დაშავდით?

— 1 ივნისს მალისა და კონგოს ნაკრებთა შეხვედრაში ერთ-ერთ მეტოქეს შევეჯახე და...

— აგვისტოში ნაკრების მატჩებში ისევ მიიღებთ მონაწილეობას?

— აგვისტოში მალის ეროვნულ გუნდს მხოლოდ ამხანაგური მატჩები აქვს და ვალდებული არ ვარ, მათში ვითამაშო. თან ისინი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის ბევრად უფრო მნშვნელოვან შეხვედრებს ემთხვევა. ნაკრების ღირსებას სექტემბერში დავიცავ, როცა 2010 წლის მუნდიალის შესარჩევი თამაშები გაიმართება.

— „იუვენტუსს“ აუცილებლად სჭირდება კიდევ ერთი მაღალი კლასის ნახევარმცველი?

— თქვენ გინახავთ კრისტიან ძანეტის თამაში?

— ამბობენ, თითქოს თქვენ და გუნდის ახალწვეული კრისტიან პოულსენი ერთნაირი სტილის ხართ...

— არა, ჩვენ სხვადასხვა პლუს-მინუსები გვაქვს. იგი უფრო შემტევია და ბევრი გოლი გააქვს, პოულსენი ცივსისხლიანი მოთამაშეა.

— რა უფრო სავარაუდოა: ბარაკ ობამა აშშ-ს პრეზიდენტი გახდება თუ „იუვენტუსი“ ჩემპიონთა ლიგას მოიგებს?

— მე ამ ტიტულის მოპოვება მინდა. ჩვენ ძლიერები ვართ, გვაქვს პოტენციალი და შეგვიძლია მოვუმატოთ. ბევრს ვოცნებობთ და გვსურს, ყველა ოცნება რეალობად ვაქციოთ.

— და ობამა თუ გახდება პრეზიდენტი?

— მე მომწონს მისი ხედვა და კომენტარები. იმედია, შავკანიანი პრეზიდენტი შევა თეთრ სახლში.

ჩილე

კლასუსერა. IV ტური

რეინჯერსი — ოსორნო 1:0; უნივ. კონსეპსიონი — კოლო კოლო 1:2; ანტოფაგასტა — უანჩაპატო 0:2; აუდაქს იტალიანო — მელიპილია 2:2; უნივ. კათოლიკა — ლა სერენა 1:1

ისლანდია

I დივიზიონი. XI ტური

ჰაფნარფიორდური 1:2 ფილკირი

ბრაზილია

სერია A. XI ტური

ფლამენგო — ვასკუ და გამა 3:1; გრემიო — პორტუგეზა 2:1; ნაუტიკო — სპორტ რესიფი 0:2

ამხანაგური მატჩები

ტეკოსი 1:0 ატლეტიკო
გვადალახარა 2:1 ვაშინგტონი
ატლანტე 0:4 ჰიუსტონი
პაჩუკა 2:1 ჩივასი

ტოტალიზატორი

1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი	წყვილი	შედეგი	კოეფ-ტი	სისტ

— აფსუს, მერე გენახა, შამფურებს რო ჩავარჭობდი მელ გიბსონივით...
— რა შამფური, ტო!
— „მამაც გულში“ როა, არ გახსოვს? ხმალს ჩაარჭობს მიწაში და რო ქანაობს...
— ვერ გავიგე, რა პონტია...
— რა პონტია და ორმოც შამფურ მწვადს ვიგებდი, „ლიპშტადტს“ გოლი რო არ გაეტანა „ბაიერნისთვის“.
— საიდან ჩითავ ეგრთ რამეებს, ტო!
— პარასკევს სიზმარში ვნახე.
— რა ნახე?
— „იუვენტუსი“ — „მეცოკორონა“ 7:0 და „ბაიერნი“ — „ლიპშტადტი“ 7:0.
— სიზმარში ამხანაგურების ნახვაც მოსულა?
— აბა შენ მარტო აფიციალნები გესიზმრება?
— შარშან, იმენა, ლიგა და უეფა ნახევარფინალებიდან დამესიზმრა, მანამდე მერვედფინალი და ჩეტვერტფინალები გამოვტოვე.
— ზნაჩიტ, მკითხავთან ხარ მისაყვანი...
— შენ თუ დაგესიზმრა, ხო, რას ამბობ, ტო. იმიტო არა ზიხარ ეხლა რესტორანში ორმოცი შამფურით და მელ გიბსონივით?
— ნუ მეკაიფები, რა. ფუტბოლი მაინც იცოდე. მე „იუვეს“ თამაში ცვეტში ბოლომდე დამესიზმრა. პროსტაამც, „ბაიერნი“ ბოლომდე ვერ ვნახე...
— დენი გაითიშა?
— ნუ მეკაიფები-მეთქი, თორე კარიერას დაგასრულებინებ „მეცოკორონაში“...
— კაი, ჰო. რა მოგივიდა, მერე?
— ჰოდა, „ბაიერნი“ — „ლიპშტადტი“ 7:0 იყო ბოლო წუთზე და მაგ დროს გამეღვიძა. მეთქი ეგრეც დამთავრდება. შაბათს ერთ როჟას გავუმაზე. „იუვე“ და „ბაიერნი“ შოტებით ვუთხარი. „იუვე“ დავსვი, „ლიპშტადტმა“ კიდე იმენა ბოლო წუთზე გიტანა და 7:1 დამთავრებულა.

როჟა დამცინოდა და წეღან რო ვნახე, საღოლო, ძმაო. იგროკი შენა ყოფილხარ, არ მინდა შენი მწვადიო. კარონჩეე, ცვეტში მგონია, რო კლინსმანის ნაჩალიჩარია.

დაიმახსოვრე, „ბაიერნი“ ხო მაგრა იგრუზება მაგ კლინსმანის გამო და ნახავ, ხალხი თუ არ გაატყავონ ამ სეზონში. მასტმა უკვე დაიწყო ჩალიჩი. „ლიპშტადტთან“ რო მაგას იკადრებს, მერე რაღას იზამს? მაგათ შარშან დიდი მაყუთები გაისროლეს და ეხლა უნდა დაიბრუნონ.
— „დუდელაჟნი“—„დომჟალეს“ აძინიქსი მგონია მაგრა და ეს ხო არ დაგსიზმრებია წუხელ?
— არა, ძმაო. „ჟ“-ებიანი გუნდები არ მესიზმრება.

კუში კოშმარია

ჩემი ბილეთი:
001 „სანტა კოლომა“ (ანდორა) — „კაუნასი“ (ლიტვა)
შედეგი: მაყურებელზე მეტი გოლი
სავარუდო მოგება: „სანტა კოლომას“ მეკარის სურათი
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, თუ რატომ დაეძინა ტრიბუნაზე „გიოტებორგის“ მწვრთნელს, რომელიც სან მარინოს „მურატას“ ვარჯიშზე დასაზვერად იყო მისული

114140 *

ნითლებს ჩემპიონობა მოსწყურდათ

რაფაელ ბენიტესი და სემი ლი

მართალია, ბოლო წლებში ინგლისურმა „ლივერპულმა“ ჩემპიონთა ლიგის მოგებაც კი შეძლო, მაგრამ, რაც მთავარია, მისთვის პრემიერლიგის ჩემპიონობა მიულწეველია. რაც ინგლისის ჩემპიონატს პრემიერლიგა ეწოდა, „წითლებმა“ ერთხელაც ვერ დაისაკუთრეს ქვეყნის უპირველესი გუნდის წოდება.

სწორედ ამ საკითხზე იხუმრა მერსისაიდელთა ოფიციალურ ვებგვერდზე რაფაელ ბენიტესის თანაშემწემ სემი ლიმ, რომელსაც 300 თამაში აქვს ჩატარებული „ლივერპულის“ შემადგენლობაში და 80-იან წლებში კლუბთან ერთად ორჯერ მოუგია უმაღლესი ევროპული ჯილდო — ჩემპიონთა თასი.

„პრემიერლიგაში სამი ძალიან კარგი გუნდია — აღნიშნა ლიმ — და ჩვენც ამ ბოლო 4-5 წლის განმავლობაში დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია, არა მხოლოდ გავუტოლდეთ, არამედ მათზე უკეთესებიც ვიყოთ“. გასული სეზონი „ლივერპულმა“ მეოთხე საფეხურზე დაასრულა, „მანჩესტერის“, „ჩელსისა“ და „არსენალის“ შემდეგ. „ვგრძნობ, რომ სწორ გზაზე ვართ და წარმატებაც მალე იქნება. მთელი გუნდი თავდაუზოგავად მუშაობს და მხოლოდ დრო გვჭრიდება, რათა შედეგი მივიღოთ“.

სემი ლი 1993-2002 წლებში ჯერ გრემ სუნესის, შემდეგ კი ჟერარ ულიეს სამწვრთნელო შტაბში იმყოფებოდა. შემდეგ, 2004-ში, იგი ერიკსონის დროინდელი ინგლისის ნაკრებს შეუერთდა, ხოლო 2005 წლიდან „ბოლტონში“ სემ ალარდაისის თანაშემწედ მუშაობდა, „დიდი სემის“ წასვლის შემდეგ კი რამდენიმე ხანს „უონდერერსის“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ასრულებდა.

არჩილ კოგახიძე

კანი ოჯახს დაუბრუნდა

ოლივერ და სიმონე კანები

სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ, ოლივერ კანმა პირად ცხოვრებასაც მიხედა. გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ აწ უკვე ყოფილი მეკარე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში 26 წლის მშვენიერ ვერენასთან ხლართავდა რომანს. ოლიმ თავისი ლამაზმანი მოცეკვავის გულისთვის ორსული მეუღლეც კი მიატოვა.

რომანი ერთ-ერთი ღამის კლუბში დაიწყო და საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა, სანამ ვერენამ თავის ვარსკვლავ საყვარელს რქები არ დაადგა. კანს ისღა დარჩენოდა, თავის ცოლ-შვილს დაბრუნებოდა და კვლავ სამაგალითო მეოჯახე გამხდარიყო. აღსანიშნავია, რომ სიმონე კანმა თავისი მოღალატე ქმარი საკმაოდ წყნარად მიღო — ეტყობა, მისთვის ოჯახის შენარჩუნება უმთავრესია.

ოლივერი და სიმონე ერთმანეთს ესპანეთში დასვენებისას დაუახლოვდნენ, სადაც ოლიმ, თავისდა გასაკვირად, აღმოაჩინა, რომ სიმონე არაფრით ჩამოუვარდება ვერენას და საკმაოდ კარგ დროს ატარებს მასთან ღამის კლუბებსა და სხვადასხვა წვეულებებზე ყოფნისას.

არჩილ კოგახიძე

რედნაპი თაღლითია?

ლონდონის პოლიცია მოუთმენლად ელის შეიტყოს, საკმარისად დააგროვა ინგლისურ ფეხბურთში არსებულ კორუფციასთან დაკავშირებული სამხილები თუ ვერა. თუ გაირკვევა, რომ სამხილები საკმარისი და წონიანია, მაშინ არ არის გამორიცხული, რამდენიმე საკმაოდ ცნობილი ფიგურა ფრიად უხერხულ გარჩევებში ვიხილოთ.

ლონდონელმა პოლიციელებმა ბოლო წლებში განხორციელებული რამდენიმე ტრანსფერისა და საფეხბურთო აგენტთა წილების საკითხებს ორი წელიწადი უტრიალეს და დაგროვილი მასალები გასულ კვირას სამეფო პროკურატურას გადააბარეს. ახლა პროკურატურის თანაშრომელთა და ადვოკატთა გასარკვევია, რა ბედი ეწევა შვიდ პატივცემულ ადამიანს, რომელთა სახელებიც ხსენებულ დავთრებშია ნახსენები.

მათ შორის „პორტსმუთის“ თავკაცი ჰარი რედნაპიც გახლავთ. რა დააშავა ამ, ინგლისელთა შორის ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა სპეციალისტმა? პოლიციელებს ეჭვი აქვთ, რომ ფული განზრახ არასწორად დათვალა... მოკლედ, თაღლითობას სდებენ ბრალად.

კიდევ, დავთრებში ნახსენებია დეკიდ სალივანი, რომელიც „ბირმინგემ სიტის“ თავმჯდომარე გახლავთ, კარენ ბრეიდი, იმავე კლუბის მთავარი მენეჯინგ-დირექტორი, „პორტსმუთის“ აღმასრულებელი შეფი პიტერ სტორი, „ლესტერის“ თავმჯდომარე მლადენ მანდარიჩი, „ჩარლტონ ატლეტიკის“ ნახევარმცველი ემდი ფაი და აგენტი უილი მაკკი.

ბუნებრივია, შვიდივე კატეგორიულად უარყოფს ყველაფერს.

რამდენი ხანი დასჭირდებათ პროკურატურაში საქმის ძირფესვიანად შესასწავლად, ამწუთას ცნობილი არ არის, თუმცა, ლონდონელი პოლიციელები საქმეს ძალიან საფუძვლიანად რომ გამოიძიებდნენ, ეჭვი არავის ეპარება. საქმე ის გახლავთ, რომ მათ ერთხელ უკვე დაუშვეს მიუტევებელი შეცდომა ჟოკეი კირენ ფელონთან დაკავშირებით და შერცხვნენ, ასეთი რამის გამეორება კი მათთვის ყოვლად დაუშვებელია.

მთელი დავიდარაბა კი „ლუტონის“ ყოფილი მწვრთნელის მაიკ ნიუელის განცხადებებს მოჰყვა. მისტერ ნიუელმა თავის დროზე თქვა, ინგლისურ ფეხბურთში (ტრანსფერებზეა საუბარი) აღებ-მიცემობა კანონს მიღმა მიმდინარეობსო.

პაპუნა კედია

ბუნდესლიგური რეკორდების მოლოდინი

მომავალი ბუნდესლიგისგან ახალ რეკორდებს ელიან, მაყურებელთა დასწრების, შესაბამისად გაყიდული ბილეთების რაოდენობისა და სპონსორების მიერ გადახდილი თანხების მხრივ.

„გერმანიის ჩემპიონატის მომავალი სეზონი ქომაგებისთვის ნამდვილი მაგნიტი გახდება, ბევრ სასიამოვნო სიახლესა და სიურპრიზს ველით“ — თქვა ტომ ბენდნერმა, რომელიც მარკეტინგისა და კომუნიკაციის საკითხებზე აგებს პასუხს.

ბენდნერი დიდ იმედებს ამყარებს ბუნდესლიგის სამ ახალწვეულზე — „კიოლნზე“, „მიონხენგლადბახსა“ და „ჰოფენჰაიმზე“. იგი მათგან სიურპრიზებს ელის, რაც კიდევ უფრო მეტ ქომაგს მოიზიდავს სტადიონებზე.

მომავალ სეზონში სტადიონებზე გაცილებით მეტ გულშემატკივარს ელიან. წინა სეზონში ქომაგების რიცხვმა 17,2 მილიონი შეადგინა — საშუალოდ 39 ათასი მაყურებელი თითოეულ მატჩზე.

36 გერმანული გუნდი გეგმავს, რომ ბილეთების გაყიდვით მიღებული შემოსავალი 242 მილიონი ევრო იქნება. გასულ სეზონში 235 მილიონი იყო. სპონსორებისგან კი 483 მილიონია მოსალოდნელი — წინა სეზონის მაჩვენებელი 430 მილიონია.

ქომაგებმა კი უკვე გააკეთეს პროგნოზები, თუ ვინ გახდება ჩემპიონი. მათი აზრით, ყველაზე მეტი შანსი, ცხადია, „ბაიერნს“ აქვს. მიუნხენელებს „ვერდერი“ და „შალკე“ მიჰყვებიან.

ბორის ბაბაბაძე

შევჩენკო და სამპდორია

გენუის „სამპდორიას“ ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ ანდრეი შევჩენკო მათ გუნდში სიამოვნებით გადავა, ერთადერთი პრობლემა ხელფასიაო. უკრაინელ ფორვარდს „მილანში“ დაბრუნების იმედიც აქვს. ლონდონის „ჩელსისთან“ ორივე იტალიური გუნდი მართავს მოლაპარაკებას.

„კიდევ ერთი თავდამსხმელის დამატება გვინდა და იმედია, ეს „შევა“ იქნება. ანდრეი სიამოვნებით გადმოვა ჩვენთან. თუმცა პრობლემა მისი ხელფასია და ამ საკითხზე ვმუშაობთ. გამოსავლის პოვნა ადვილი არ იქნება, მაგრამ არასდროს თქვა, არასდროს“ — განაცხადა გენუელთა გენერალურმა მენეჯერმა ბეპე მაროტამ.

შეგახსენებთ, რომ მსგავსი ტრანსფერი „სამპდორიამ“ უკვე წარმატებით განახორციელა, როცა წინა ზაფხულს „რეალისგან“ ანტონიო კასანო ინათხოვრა და „ხულიგანი“ ბრწყინვალედ აათამაშა.

„წინა ზაფხულს კასანო და ვინჩენცო მონტელა მაშინ შემოგვიერთდნენ, როცა მოსამზადებელი პერიოდი უკვე დაწყებული იყო და პრობლემები არ შეგვქმნია. იმედია, ივლისის ბოლომდე ჩვენი შემადგენლობა სრულად დაკომპლექტდება“ — დასძინა მაროტამ.

ბორის ბაბაბაძე

მუტუ რომაში?



ფლორენციის „ფიორენტინა“ კი ირწმუნება, ჩვენი ლიდერი ადრიან მუტუ არსად არ მიდისო, მაგრამ ამბობენ, რუმინელმა, შესაძლოა, „რომაში“ ამოჰყოს თავიო. შეგახსენებთ, რომ მისით „ბაიერნი“, „შალკე“ და სხვა კლუბებიც იყვნენ დაინტერესებულნი.

მუტუს თანამემამულე კრისტიან კივუმ განაცხადა, ადრიანი „რომათი“ ძალიან მოხიბლულია და შესაძლოა, „სტადიო ოლიმპიკოზე“ აღმოჩნდესო. შეგახსენებთ, რომ ამჟამად ინტერელი კივუ ექსრომაელია.

„ადრიანი „რომათი“ ძალიან დაინტერესებულა. მან ბევრი კითხვა დამისვა ქალაქზე და კლუბზე. თუ „გლადიატორები“ მუტუს იყიდიან, ეს მათთვის საოცარი შენაძენი იქნება და კიდევ უფრო გაძლიერდებიან“ — თქვა კივუმ.

„რომა“, თავის მხრივ, რა ხანია, თავდამსხმელს ეძებს. ვინჩენცო იაკვინტასა და ანტონიო დი ნატალეს შემდეგ, დედაქალაქელები მუტუს მიადგნენ.

ყველაფერი რამდენიმე დღეში უკეთ გაირკვევა. მას მერე, რაც „ფიორენტინა“ და მუტუ ახალ, გაუმჯობესებულ კონტრაქტზე ისაუბრებენ. გავრცელებული ცნობით, თუ მხარეები შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, „რომა“ იქვე გაჩნდება და რუმინელის ტრანსფერისთვის გამზადებულ 21 მილიონ ევროს გამოაჩენს.

ბორის ბაბაბაძე

ფილ ბერდსლიმ ვარჯიში დაიწყო

„სანდერლენდის“ მცველ ფილ ბერდსლის მუხლის ტრავმის შემდეგ ყოველმხრივ ცდილობს, აღიდგინოს ძველი ფორმა და სრულ მზადყოფნაში შეხვდეს მომავალ სეზონს.

„ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. სირბილი და ვარჯიში უკვე შემიძლია“ — გვაუწყა ბერდსლიმ კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე. გაზაფხულზე ფეხბურთელმა ოპერაცია გადაიტანა, რის გამოც მან პრემიერლიგის ბოლო ოთხი შეხვედრა გამოტოვა.

ინგლისელებმა საპრიზო ფონდი გაზარდეს

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ თასის გათამაშების საპრიზო ფონდი 69 პროცენტით გაიზარდა. ახალ სეზონში იგი 16,4 მილიონ გირვანქას შეადგენს. გამარჯვებული გუნდი 3,8 მილიონ გირვანქას მიიღებს, აქედან 2 მილიონს ფინალში გამარჯვებისთვის. ფინალისტები მთელი ტურნირის განმავლობაში 2,8 მილიონს გამომუშავებენ, მათ შორის 1 მილიონს — ფინალში მონაწილეობისთვის. რაც შეეხება ნახევარფინალისტებს, ისინი ნახევარ-ნახევარ მილიონს მიიღებენ, საერთო ჯამში კი 1,3 მილიონს.

ტულუზიდან ბეტისში

„ტულუზი“ და „ბეტისი“ ნახევარმცველი ახილ ემანას თაობაზე შეთანხმდნენ. მომავალ კვირას ემანა სამედიცინო შემოწმებას გაივლის და ანდალუსიურ კლუბთან 5-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. კამერუნელის ტრანსფერის ღირებულება 6 მილიონი ევროა.

ხეტაფემ გრანერო გამოისყიდა

მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი ესტებან გრანერო „ხეტაფეს“ სრული საკუთრება გახდა. გასულ სეზონში გრანერო „ხეტაფეში“ იჯარით იმყოფებოდა, ახლა კი საბოლოოდ გადაბარგდა ამ კლუბში.

ხედირა შტუტგარტში რჩება

გერმანული „შტუტგარტის“ ნახევარმცველი სამი ხედირა კლუბში 2011 წლამდე დარჩება.

გასულ სეზონში ხედირამ ბუნდესლიგის 24 მატჩში ერთი გოლი გაიტანა.

უიღბლო უმითი

ფრანკფურტის „აინტრახტის“ ნახევარმცველი უმით ქორქმაზი მწყობრიდან ორი თვით გამოვიდა. 22 წლის ფეხბურთელმა თავი ევრო 2008-ზე ავსტრიის ნაკრებში კარგი თამაშით დაგვამახსოვრა. გერმანიაში იგი ვენის „რაპიდიდან“ გადავიდა. „იმედგაცრუებული ვარ, უპირველესად იმიტომ, რომ ეს ჩემი პირველი ვარჯიში იყო ახალ კლუბში“ — განაცხადა ქორქმაზმა.

ამავდროულად, გერმანულ კლუბს კიდევ ერთი ახალწვეული ჰყავს — ბერძენი ნიკოს ლიბეროპულოსი, რომელიც ბუნდესლიგაში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაბარგდა.

პსჟ-ს ვილტორდი გაახსენდა

ფრანგულმა პსჟ-მ „რენის“ ვეტერან ფორვარდ სილვენ ვილტორდს დაუმიზნა. უახლოეს მომავალში კლუბების ხელმძღვანელები შეხვედრას გამართავენ, რომელზეც დედაქალაქელები ოფიციალურ შეთავაზებას გააკეთებენ.

შეგახსენებთ, რომ ვილტორდმა თავისი საუკეთესო წლები ლონდონის „არსენალში“ გაატარა.

ჟოაუ ფრენკის სანაცვლოდ

როგორც „The People“ იტყობინება, ლონდონის „ჩელსი“ ლისაბონის „სპორტინგის“ ნახევარმცველით ჟოაუ მოუტინიუთია დაინტერესებული. ეტყობა, „არისტოკრატები“ პორტუგალიის ნაკრების ფეხბურთელს ფრენკ ლამპარდის შემცვლელად მოიაზრებენ, რომელსაც უკვე რა ხანია, მილანის „ინტერმა“ დაადგა თვალი.

რეალის სამეფო პრივილეგია

ესპანური „მარკას“ ცნობით, მადრიდის „რეალს“ პრიორიტეტული უფლება აქვს „აიაქსის“ თავდამსხმელ კლას-იან ჰუნტელაარზე, რომლითაც ასევე „მანჩესტერი“, „არსენალი“, „ჩელსი“ და „ბარსელონა“ არიან დაინტერესებულნი. ეს პრივილეგია „სამეფო კლუბმა“ ჯერ კიდევ გასული სეზონის მსვლელობისას მოიპოვა, როცა ამსტერდამულ კლუბთან მოლაპარაკებას მართავდადა უესლი სნაიდერთან დაკავშირებით.

იუვენტუსს მუნტარი უნდა

ტურინის „იუვენტუსი“ მზადაა, „პორტსმუთის“ ცენტრალურ ნახევარმცველ სულეი მუნტარის სანაცვლოდ 15 მილიონი ევრო გამოყოს. 23 წლის მუნტარი განის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელია.

არჩილ ძოგასხიძე

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		დანია. სუპერლიგა						
		19 ივლისი						
19:00	77	რანდერსი-ორჰუსი	1.95	3.40	3.70	1.23	1.27	1.77
		20 ივლისი						
16:00	76	ჰორსენსი-სიონდერიისკე	1.55	4.00	5.70	1.11	1.21	2.35
19:30	78	ოლბორგი-მიდტიულანდი	2.05	3.30	3.30	1.26	1.26	1.64
18:00	79	ვეილე-ოდენსე	4.00	3.40	1.85	1.83	1.26	1.19
18:00	80	ნორდსიელანდი-ბრიონდბიუ	3.80	3.40	1.90	1.79	1.26	1.21
		21 ივლისი						
21:00	75	კოპენჰაგენი-ესბიერგი	1.45	4.10	6.80	1.07	1.19	2.55
		იაპონია						
		16 ივლისი						
14:00	166	საპორო-ოიტა	2.85	3.20	2.20	1.50	1.24	1.30
14:00	167	კიოტო-კაშიმა	2.85	3.40	2.10	1.55	1.20	1.29
14:00	168	კობე-იოკოჰამა ფმ	1.95	3.40	3.20	1.23	1.21	1.64
14:30	169	ტოკიო-გამბა	2.60	3.25	2.35	1.44	1.23	1.36
14:30	170	ნიიგატა-იჩიჰარა	1.50	3.60	5.50	1.05	1.17	2.17
		17 ივლისი						
14:30	125	ურავა-ვერდი	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21
14:00	126	კაშივა-ომია	1.80	3.40	3.75	1.17	1.21	1.78
14:00	127	კავასაკი-შიმიცუ	1.95	3.40	3.30	1.23	1.22	1.67
14:00	128	ივატა-ნაგოია	2.75	3.20	2.25	1.47	1.23	1.32
		უეფა. ჩემპიონთა ლიგა						
		15 ივლისი						
20:00	200	ბატე-ვალური	1.35	4.20	7.00	1.02	1.13	2.62
20:00	201	ინტერი ბაქო-რაბოტნიჩკი	1.55	3.50	5.20	1.07	1.19	2.09
20:00	202	ტამპერე-ბუდუჩნოსტი	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
21:00	203	ანორთოსისი-პიუნიკი	1.40	4.00	6.50	1.03	1.15	2.47
21:00	204	დუდელანჟი-დომჟალე	5.20	3.80	1.50	2.19	1.16	1.07
21:35	205	ლანელი-ვენტსპილსი	2.70	3.20	2.30	1.46	1.24	1.33
22:00	206	ვალეტა-პეტრჟალკა	7.30	4.60	1.30	2.82	1.10	1.01
22:00	207	დინამო ტირ-მოდრიცა	1.60	3.20	5.50	1.06	1.23	2.02
22:30	208	მურატა-გიოტებორგი	12.00	6.00	1.15	4.00	1.04	1.00
22:30	210	სანტა კოლომა-კაუნასი	9.50	5.50	1.20	3.48	1.06	1.00
		16 ივლისი						
19:00	211	აკტობე-შერიფი	2.00	3.10	3.40	1.21	1.25	1.62
22:45	212	დროგედა-ლევადია	1.60	3.20	5.50	1.06	1.23	2.02
22:45	213	ლინფილდი-დინამო ზაგ	7.00	4.20	1.35	2.62	1.13	1.02
		საერთაშორისო						
		ამხანაგური მატჩები						
		15 ივლისი						
22:45	13	ბაროუ-მორეკომბი	3.00	3.30	2.00	1.57	1.20	1.24
22:45	14	დანდი-აბერდინი	3.00	3.30	2.00	1.57	1.20	1.24
22:45	15	ფორესტ გრინი-რედინგი	8.00	4.50	1.27	2.88	1.09	1.00
22:45	16	ლინკოლნი-ასტონ ვილა	9.00	5.00	1.20	3.21	1.05	1.00
22:45	17	საუთენდი-ფულემი	5.00	3.50	1.55	2.05	1.18	1.07
		16 ივლისი						
20:30	18	მიონხენგლადბახი-ვესტ ბრომვიჩი	2.05	3.30	3.00	1.26	1.21	1.57
22:45	19	ბარტონი-დერბი	7.00	3.70	1.40	2.42	1.16	1.01
22:45	20	დანფერმლაინი-ჰარტსი	3.25	3.40	1.90	1.66	1.19	1.21
22:45	21	ექსეტერი-პორტსმუთი	8.00	5.00	1.25	3.07	1.08	1.00
22:45	22	ჰერეფორდი-ვულვერჰემპტონი	3.50	3.50	1.80	1.75	1.18	1.18

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10202	ტამპერე-ბუდუჩნოსტი	2.10	2.10	4.85	1.04	1.46	1.46
10204	დუდელანჟი-დონჟალე	5.00	2.10	2.00	1.47	1.42	1.02
10205	ლანელი-ვენტსპილსი	3.10	2.00	2.85	1.21	1.48	1.17
10211	აკტობე-შერიფი	2.40	2.00	3.60	1.09	1.44	1.28
10212	დროგედა-ლევადია	2.00	2.20	5.30	1.04	1.45	1.55

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11202	ტამპერე-ბუდუჩნოსტი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11204	დუდელანჟი-დონჟალე	7.50	10.00	20.00	8.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.40
11205	ლანელი-ვენტსპილსი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11211	აკტობე-შერიფი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11212	დროგედა-ლევადია	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2
(0:0 ითვლება წყვილად)

17202	ტამპერე-ბუდუჩნოსტი	1.85 ---- 1.95
17204	დუდელანჟი-დონჟალე	1.85 ---- 1.95
17205	ლანელი-ვენტსპილსი	1.85 ---- 1.95
17206	ვალეტა-პეტრჟალკა	1.85 ---- 1.95
17211	აკტობე-შერიფი	1.85 ---- 1.95
17212	დროგედა-ლევადია	1.85 ---- 1.95

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14202	ტამპერე-ბუდუჩნოსტი	1.45 ---- 2.40
14204	დუდელანჟი-დონჟალე	2.50 ---- 1.30
14205	ლანელი-ვენტსპილსი	2.00 ---- 1.80
14211	აკტობე-შერიფი	1.70 ---- 2.20
14212	დროგედა-ლევადია	1.30 ---- 2.50

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15202	ტამპერე-ბუდუჩნოსტი	3.00	2.80	2.00
15204	დუდელანჟი-დონჟალე	3.00	2.80	2.00
15205	ლანელი-ვენტსპილსი	3.00	2.80	2.00
15211	აკტობე-შერიფი	3.06	2.80	2.00
15212	დროგედა-ლევადია	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16202	ტამპერე-ბუდუჩნოსტი	1.24 ---- 3.60
16204	დუდელანჟი-დონჟალე	3.60 ---- 1.23
16205	ლანელი-ვენტსპილსი	1.80 ---- 1.80
16211	აკტობე-შერიფი	1.40 ---- 2.55
16212	დროგედა-ლევადია	1.22 ---- 3.40

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12202	ტამპერე-ბუდუჩნოსტი 2,5	1.70	1.90
12204	დუდელანჟი-დონჟალე 2,5	2.10	1.60
12205	ლანელი-ვენტსპილსი 2,5	1.90	1.70
12211	აკტობე-შერიფი 2,5	1.70	1.90
12212	დროგედა-ლევადია 2,5	1.70	1.90

შესაძლო ცვლილებები დაიაზუსტეთ ადგილზე

პირველი ქალბატონი პრეზიდენტი

რა საერთო აქვს ჭადრაკს და კალათბურთს? მაია ლომინეიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი არის პირველი და ერთადერთი გუნდი ქართულ კალათბურთში, რომელსაც ქალბატონი პრეზიდენტობს. გასული სეზონის დასაწყისში თსუ-ს ხელმძღვანელად მაია ლომინეიშვილი დაინიშნა და ეს გვარ-სახელი ქათრველი გულშემატკივრისთვის, პირველ რიგში, ჭადრაკთან ასოცირდება. რა კავშირშია საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მოჭადრაკე და კალათბურთი? ლომინეიშვილმა შარშან უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრში დაიწყო მუშაობა და შესაბამისად, თსუ-ს საკალათბურთო გუნდის მეურვეობაც იკისრა. მანამდე მაიას ძალიან მცირე შეხება ჰქონდა კალათბურთთან, თუმც ბოლო სეზონში სისტემატურად დადიოდა თამაშებზე და სპორტის ამ სახეობის ბევრ ნიუანსშიც გაერკვა. გუშინ მაია ლომინეიშვილს უნივერსიტეტში ვეწვიეთ კალათბურთზე სასაუბროდ, თუმც ეს ამბავი ჭადრაკის გარეშე აბა, როგორ ჩაივლიდა...

— შარშან უნივერსიტეტში კულტურისა და სპორტის სამსახურები გაერთიანდა და ამ ახალ ცენტრში სამუშაო ვაკანსია გაჩნდა. გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მივიღე და ჩემდა გასახარად, ეს ცდა წარმატებული გამოდგა. ცენტრის ხელმძღვანელი ცნობილი კომპოზიტორი ლილიკო ნემსაძე გახდა და კულტურის საქმეები ჩაიბარა, მე კი, შესაბამისად, სპორტი მერგო.

— საკალათბურთო გუნდის პრეზიდენტიც ავტომატურად გახდით?

— არა, შეიძლებოდა, ასე არ მომხდარიყო, მაგრამ თავად გუნდის მწვრთნელებმა, ნუგზარ ჭეიშვილმა და ნუგზარ მარკოიშვილმა მთხოვეს, რაზეც უარი არ მითქვამს.

— მანამდე თუ გქონდათ შეხება კალათბურთთან?

— ძალიან მცირე. ერთხელ ვიყავი ეროვნული ნაკრების თამაშზე, ხოლო შარშან რუსთავის გუნდის რამდენიმე მატჩს დავესწარი. მაშინ მე ქარხანა „აზოტის“ საჭადრაკო გუნდში ვთამაშობდი და ამიტომაც რუსთაველებს ვქომაგობდი. ისე კი, არაერთი კალათბურთელი მეგობარი მყავს და სპორტის ეს სახეობაც მიყვარს.

— თქვენ თუ გითამაშიათ კალათბურთი?

— ბურთი ხელში კი მჭერია, მაგრამ თამაშის რა გითხრათ. რაც თსუ-ს გუნდის პრეზიდენტად დავინიშნე, კალათბურთში ძალიან გავერკვე. მანამდე წესები არ ვიცოდი, ახლა კი ერთი გარბენი, წახტომი, ორტარება თუ ჯარიმა არ გამომეპარება. გასულ სეზონში სისტემატურად დავდიოდი თსუ-ს მატჩებზე და ისეთ აზარტში შევედი, რომ ემოციებისგან ბოლომდე ვიცლებოდი. არ დამავიწყდება, თასის ნახევარფინალში რუსთავის გუნდს რომ მოვუგეთ. თამაშის დამთავრებამდე 8 წამი რჩებოდა და მიხეილ ფანჩულიძის პასით, დავით ბარბაქაძემ საფინალო სირენის თანხლებით ჩააგდო გამარჯვების ბურთი. მე და ლილიკო ნემსაძე, რომელიც ჩემსავით თამაშს არ აცდენდა, ერთ ამბავში ვიყავით, ბავშვებივით გვიხაროდა.

— როგორც პრეზიდენტი, კმაყოფილი ხართ თსუ-ს მიერ გასულ სეზონში ნაჩვენები შედეგით?

— ძალიან კმაყოფილი ვარ. თასის ფინალში გავედით, ხოლო ჩემპიონატში მესამე ადგილი დავიკავეთ. ეს შედეგი მაქსიმუმია იმის გათვალისწინებით, რა შემადგენლობა და პირობები გვქონდა. სექტემბრიდან იანვრამდე ბიჭებმა უხელფასოდ ითამაშეს. თანაც ჩვენთან ხომ ის კალათბურთელები იყვნენ, სხვა, უფრო შეძლებულმა კლუბებმა რომ არ აიყვანეს. ამაზე მეტს მათ ვერც მოვთხოვთ. თსუ-მ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია და ამაში დიდი წვლილი, რა თქმა უნდა, მწვრთნელებს, ორ ნუგზარს მიუძღვის — ჭეიშვილს და მარკოიშვილს.

— თქვით, უხელფასოდ თამაშობდნენ ბიჭებიო და სამაგიეროდ, მერე სერიოზული სპორსორი იპოვეთ. „სახალხო ბანკი“ კიდევ გაგიწევთ დახმარებას?

— ეს საკითხი ჯერ ღიად არის. აგვისტოში შევხვდებით „სახალხო ბაკის“ ხელმძღვანელობას და გადავწყვეტთ, რა როგორ იქნება. იმედს ვიტოვებ, რომ ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც და ხანგრძლივად გაგრძელდება.

— მოსალაპარაკებელი რაღა გაქვთ, ზამთარში ხომ გააფორმეთ ხელშეკრულება?

— „სახალხო ბანკმა“ თსუ-სთან პარტნიორული ურთიერთობის მემორანდუმი გააფორმა. ეს არ იყო ქველმოქმედება, ან სარეკლამო გარიგება. ჩვენ უფრო შორს მიმავალი გეგმები დავსახეთ, რომლებიც აგვისტოში უნდა შეგვეჯერებინა. „სახალხო ბანკს“ სურდა, რომ თსუ-ში თანამედროვე სპორტული კომპლექსი აეშენებინა, სადაც ყველა პირობა იქნებოდა ნიჭიერი კალათბურთელების აღსაზრდელად. ეს იყო წმინდა საქმიანი, პარტნიორული შეთანხმება, რომლიდანაც მომავალში გარკვეულ მოგებას მიიღებდა ორივე მხარე. მაშინვე ითქვა, რომ ზაფხულში კიდევ ერთხელ დავსხდებოდით მოაპარაკების მაგიდასთან და გადავწყვეტდით, თუ რა და როგორ უნდა გაგვეკეთებინა. ეს ძალიან სერიოზული პროექტია და ისეთ ძლიერ ბიზნეს-პარტნიორთან დაკავშირება, როგორიც „სახალხო ბანია“, თსუ-ს რექტორის, ბატონ გია ხუბუას დამსახურებაა.

— როგორ ფიქრობთ, მორიგი მოლაპარაკების შემდეგ კვლავ გაგრძელდება თქვენი საქმიანი ურთიერთობა.?

— არ ვიცი, თუმცა ამის იმედი მაქვს.

— თუკი ეს არ მოხერხდა, თსუ-ს საკალათბურთო გუნდს რა ელის?

— არაფერი, ვიქნებით ჩვენი რესურსის იმედზე. ანუ გუნდი სტუდენტებით და ჩვენს საკალათბურთო სექციებში მყოფი ახალგაზრდებით დაკომპლექტდება. სხვა გუნდებისგან განსხვავებით, თსუ არ არის სპორტული კლუბი. ესაა სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის მიზანი სპორტული და ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობა და პოპულარიზაციაა. ჩვენ არ გვაქვს უფლება, რომ მოთამაშეებს ხელფასი გადავუხადოთ. ამას იმ შემთხვევაში ვაკეთებთ, როცა სპონსორი გვყავს. აქამდე გუნდს კომპანია „ნიკორა“, ბანკი „რესპუბლიკა“ და „სახალხო ბანკი“ ინახავდნენ. ასე რომ, ყველაფერი სპონსორზეა დამოკიდებული.

— საკალათბურთო თემა ამოვწურეთ და არ იქნება, ჭადრაკზეც არ გკითხოთ. უნივერსიტეტში მუშაობა ხელს ხომ არ გიშლით ძირითად საქმეში?

— რა თქმა უნდა, ჭადრაკს იმდენ დროს ვეღარ ვუთმობ, რამდენსაც ადრე. უნივერსიტეტში მუშაობას დიდი ენერგია მიაქვს და ჭადრაკში სისტემატურად ვეღარ ვმეცადინეობ. მიუხედავად ამისა, მაისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე იმდენი მოვახერხე, რომ 2009 წლის მსოფლიო პირველობის ლიცენზია მოვიპოვე. არადა, ეს ევროჩემპიონატი ძალიან წარმომადგენლობითი იყო, სადაც კოსტენიუკისა და დები კოსონცევების გარდა, კონტინენტის ყველა მოწინავე მოჭადრაკე შეიკრიბა. ჩემთან ერთად ლიცენზია ნანა ძაგნიძემაც მოიპოვა.

— და 2008 წლის მსოფლიო პირველობა?

— მაგას ნალჩიკი მასპინძლობს აგვისტოს ბოლოს და იქ სათამაშოდ 6 ქართველი მივდივართ — მე, მაია ჩიბურდანიძე, ნინო ხურციძე, ლელა ჯავახიშვილი, სოფიო გვეტაძე და სოფო ხუხაშვილი

— საკლუბო ჭადრაკსაც ხომ თამაშობთ და რა წარმატებით?

— მე აქამდე თურქული „მარმარისის“ წევრი ვიყავი, მაგრამ ეს კლუბი დაიშალა და „დენიზლიში“ გადავედი. სწორედ ახლახან დავბრუნდი შეჯიბრებიდან — თურქეთის საკლუბო თასზე მე-6 ადგილი დავიკავეთ.

— შედეგით ალბათ არ იქნებით კმაყოფილი...

— ეს იყო საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც თურქულთან ერთად ქართული, აზერბაიჯანული და უკრაინული გუნდებიც მონაწილეობდნენ. იმის გათვალისწინებით, რომ „დენიზლი“ სულ ახალი შეკრებილია, მე-6 ადგილი ურიგო შედეგი არ არის.

— გუნდური მე-6 ადგილი კარგია და, საკუთარი თამაშით თუ დარჩით კმაყოფილი?

— ნახსენები მიზეზების გათვალისწინებით, ნამდვილად არ ველოდი, რომ ასე წარმატებულად ვითამაშებდი: 15 პარტიიდან 10 მოვიგე და 5 ფრედ დავასრულე. უკეთ რომ ვყოფილიყავი მომზადებული, შედეგი გაცილებით შთამბეჭდავი მექნებოდა.

— ბოლოს იმ სკანდალურ ამბებზე გკითხავთ, ახლახან ჭადრაკის ფედერაციაში რომ მოხდა...

— ბოლო წლებში ქართულ ჭადრაკს სკანდალები არ აკლდა. ფედერაციაში სულ არეული სიტუაცია იყო და მჯერა, რომ ამ ცვლილების შემდეგ ყველაფერი გამოსწორდება. ახალი პრეზიდენტი გია გიორგაძე ძალიან გამოცდილია და ჭადრაკის სფეროში ბოლო დროს არეულ სიტუაციას, ვფიქრობ, მალე დაალაგებს.

ირაკლი პერტაია

გერმანელებმა ნოვიცკის კამანი შეუწყვილეს

გერმანელებმა თქვეს, კი გვყავს დირკ ნოვიცკი, მაგრამ ამ სუპერვარსკვლავს ვინმე ხეირიანი თუ არ მივაშველეთ, თუნდაც ბოლოდროინდელი შედეგების გამეორება გაგვიჭირდებაო. ქექეს, ქექეს და „ლოს ანჯელეს კლიპერსის“ ქებულ ცენტრ კრის კამანს გერმანელი წინაპრები გამოუძებნეს. ისე, რა დიდი ძებნა სჭირდებოდა — ცისფერთვალება და წითურსახიანი კამანის ძარღვებში რომ გარკვეული დოზით არიული სიხლიც ჩქეფდა, თვალის ერთი შევლებითაც ჩანდა.

ჰოდა, გერმანიის მთავრობამ კამანს უკვე მისცა ქვეყნის მოქალაქეობა და ახლა მცირე იურიდიული საკითხებიღაა მოსაგვარებელი, საქმე რომ ბოლომდე გაიჩარხოს. ერთადერთი საკითხი, რომელიც ჯერ არ მოგვარებულა, დაზღვევაა. კამანი „კლიპერსისთვის“ ძალიან ღირებული მოთამაშეა და მისი დაზღვევის თანხები თვისთ გერმანიის კალათბურთის ფედერაციისთვისაც კი ძნელი მოსაძიებელია. თუმცა ამ ორგანოს გენერალური მდივანი ვოლფგანგ ბრენშეტი დარწმუნებულია, რომ ყველაფერი მისი ქვეყნის საკეთილდღეოდ დასრულდება.

„კრისი უკვე მზადაა ჩამოსასვლელად. მას ძალიან სურს გერმანიის ნაკრების დახმარება და საბოლოოდ ეს ასეც იქნება, თუკი ავიაკომპანიებმა გაფიცვა არ მოაწყვეს“ — ხუმრობის ხასიათზეა დამდგარი ბატონი ვოლფგანგი და ეს არცაა გასაკვირი. კამანი ხომ ნბას ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრია, რომელიც გასულ სეზონში საშუალოდ 16 ქულას, 12.7 მოხსნას და 2.8 დაფარებას იხვეჭდა.

გერმანიამ წინა ხაზის პრობლემა საბოლოოდ გადაჭრა: მასზე მძლავრი მეფარეები (ნოვიცკი, კამანი) ალბათ მხოლოდ თვით ამერიკელებს თუ ეყოლებათ კარსმომდგარ ოლიმპიადაზე. სხვათა შორის, გერმანიას ჯერაც არ აქვს დაბევებული ოლიმპიადის საგზური და მისთვის ბრძოლა მომავალ კვირაში გასამართ საკვალიფიკაციო ტურნირზე მოუწევს. გერმანელების ერთ-ერთი მთავარი მეტოქე ამ ტურნირზე კანადის ნაკრები იქნება, რომელსაც ფინიქსელი სტივ ნეში ვერ დაეხმარება, მაგრამ, სამაგიეროდ, ფილადელფიელი სამუელ დალამბერის ეიმედება.



კრის კამანი

ირაკლი პერტაია

ქართული პარაოლიმპიადა იაგო გორგოძით იწყება

პირველად ქართული სპორტის ისტორიაში, ჩვენი სპორტსმენი იაგო გორგოძე პარაოლიმპიურ თამაშებზე გამოვა. პარაოლიმპიადა პეკინის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ დაიწყება. თამაშები 16-17 სექტემბერს გაიმართება და იაგო გორგოძე წოლჭიმში (ძალოსნური სამჭიდის ერთ-ერთი სახეობა) 15 სექტემბერს ასპარეზებს. გეტყვით იმასაც, რომ წოლჭიმი ნიშნავს დაწოლილ მდგომარეობაში შტანგის აწევას. ამ სახეობაში გორგოძე უკვე გამოცდილ სპორტსმენად ითვლება. იგი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე გამოსულა და მისთვის პარაოლიმპიური ლიცენზიის გადაცემა ამ ფაქტორებმაც განაპირობა.

პარაოლიმპიური თამაშების ლიცენზია საქართველოს ოფიციალურად გერმანიაში, ქალაქ ბონში, მსოფლიოს პარაოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინაში გადაეცა. ამ ყველაფერთან დაკავშირებით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც პარაოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა დავით მაისურაძემ, ვიცე-პრეზიდენტმა გიორგი ნასიძემ და იაგო გორგოძემ ისაუბრეს.

დავით მაისურაძე: „მინდა, პირველ რიგში, დიდი მადლობა გადავუხადო სპორტის დეპარტამენტის მესვეურებს, რადგანაც, სწორედ დეპარტამენტის დახმარებით მივიპოვეთ ლიცენზია და მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე გამოვედით. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი სპორტსმენით წარვდგებით ოლიმპიადაზე, მაგრამ იმედია, მომავალში უკვე საქართველოს ნაკრები გაემგზავრება. ამ მხრივ მუშაობა დაწყებულია.

უკვე გამოჩნდა რამდენიმე სპორტსმენი, რომლებიც საქართველოს ღირსებას დაიცავენ.

იაგო გორგოძე: „მადლობა მინდა, გადავუხადო ყველას, ვინც მე ლიცენზიის აღებაში დამეხმარა. კარგ ფორმაში ვარ და ვფიქრობ, გულშემატკივრებს იმედს არ გავუცრუებ.

ზურაბ მიგრიაული

თბილისი. თიხა. საპრიზო 15 000 დოლარი

პირველ წრე

ივან ანიკანოვი (უკრაინა) — მიხაილ ბრილი (რუსეთი) 6:1 6:4
მიხალ პაზიჩკი (სლოვაკეთი) — გიორგი ხრიკაძე (საქართველო) 4:6 6:3 7:5
ნოდარ ითონიშვილი (საქართველო) — გლებ ალექსეენკო (უკრაინა) 6:3 1:6 7:6
ვუ ჰან ჰამი (სამხრეთ კორეა) — ალექსეი ბესონოვი (ბელარუსი) 6:2 6:2
ჰარუტინ სოფიანი (სომხეთი) — ემილ ალიკანბეკოვი (აზერბაიჯანი) 6:0 6:0
ალექსანდრ იარმოლა (უკრაინა) — რომან კისლენსკი (რუსეთი) 6:1 6:0

ლადო ჩიხლაძე და ველური ბარათები

„ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის“ კორტებზე ITF-ის ეგიდით კაცთა საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს. უკვე გაიმართა საკვალიფიკაციო შეხვედრები და ძირითადი ბადის პირველი რაუნდის რამდენიმე მატჩი. აქვე გეტყვით, რომ ქართველებიდან საკვალიფიკაციო ეტაპს თავი ვერავინ დააღწია, არადა, ამისთვის ჩვენი 11 თანამემამულე იღვწოდა.

შესარჩევის პირველ რაუნდში ნიკოლოზ ქურდაძე გიორგი რევაზიშვილს დაუპირისპირდა და 2:6 3:6 დამარცხდა. რევაზიშვილი მეორე რაუნდში უკრაინელ ივან ანიკანოვს შეხვდა და ორ სეტში დათმო მატჩი — 1:6 4:6. ნოდარ ქარჩაიძე პირველ რაუნდშივე დამარცხდა სომეხ ჰარიტან სოფიანთან — 1:6 1:6. დემეტრე თაქთაქიშვილმა თანამემამულე ალექსანდრე თავხელიძე კი დაჯაბნა (3:6 7:5 6:3), მაგრამ რუსეთის სახელით მოასპარეზე ალექსანდრე გიგიტაშვილთან ვერაფერი გააწყო — 6:7 3:6. თემურ ძაგნიძემ პირველივე რაუნდში ვერ ივარგა სომეხ ხაჩატურ ხაჩატრიანთან — 6:1 3:6 6:3. ლაშა გულიაშვილი კი ასევე სომეხ არტურ ხაჩატრიანისგან უმოწყალოდ დაიჩაგრა — 6:0 6:0. ბექა ბუჩუკური ვერაფერს გახდა რუს მიხაილ ბრილთან — 6:1 6:1. ალექსანდრე მეტრეველმა ნიკა კაკულიას ძლევის (6:3 6:4) მეორე რაუნდს კი უწია, მაგრამ იქიდან გლებ ალექსეენკომ გამოაგდო — 3:6 6:4 6:1.

ძირითად ბადეში ოთხი ქართველი ჩოგბურთელი გამოდის. ამათგან ლადო ჩიხლაძე თავიდანვე იყო განთესილი, თანაც მას ტურნირის მე-3 ნომრის სტატუსი აქვს. ლაზარე კუხალაშვილი, გიორგი ხრიკაძე და ნოდარ ითონიშვილი კი ეგრეთ წოდებული „ველური ბარათის“ მეშვეობით გაირკვევიან ძირითად ტურნირში.

ჩვენებიდან ძირითადი ბადის პირველ წრეში გუშინ ნოდარ ითონიშვილმა და გიორგი ხრიკაძემ ითამაშეს. ნოდარი გლებ ალექსეენკოს შეხვდა და დაძაბულ ბრძოლაში მოუგო — 6:3 1:6 7:6, ხოლო გიორგი ხრიკაძემ სამ სეტში წააგო სლოვაკ მიხალ პაზიჩკისთან — 4:6 6:3 7:5.

აქვე გეტყვით ტურნირზე განთესილთა შესახებაც. პირველი ნომერი იტალიელი მატეო მარაია, მეორე — სერბი დევიდ სევიჩი, მესამე — ჩვენი ლადო ჩიხლაძე, მეოთხე — იტალიელი მატეო ვოლანტე, მეხუთე — ლატვიელი დენის პავლოვი, მეექვსე — სამხრეთკორეელი ვუ ჰან ჰამი, მეშვიდე — ლიტველი გვიდას საბესკისი, დაბოლოს, მერვე ნომერი ფრანგ პეტარ პოპოვიჩს არგუნეს.

შეგახსენებთ, რომ ტურნირის საპრიზო ფონდი 15 000 აშშ დოლარს შეადგენს.

ზურაბ მიგრიაული



ნოდარ ითონიშვილი

როლები შეიცვალა

ნაგოიაში მიმდინარე ივლისის ბაშოზე ქართველმა გოლიათმა, კოკაიდ წოდებულმა ლევან ცაგურიამ პირველი გამარჯვება მოიპოვა. „შავმა ზღვამ“ ხატაკიკომით მოუგო დასავლეთის მე-11 მაეგაშირა ტამაკაზუგას. ახლა კოკაის ორ შეხვედრაში ერთი გამარჯვება აქვს. იგი მომდევნო, მესამე შერკინებას ასევე ერთი გამარჯვების პატრონ დასავლეთის მე-8 მაეგაშირა დეჰიმასთან გამართავს.

თავისი შეხვედრა წააგო მეორე ქართველმა სუმოისტმა, ტოჩინოშინად წოდებულმა ლევან გორგაძემ. მას ბაშოს პირველი ორთაბრძოლა მოგებული ჰქონდა, მაგრამ ამჯერად აღმოსავლეთის მე-16 მაეგაშირა მასაცუკასასთან დამარცხდა. შემდეგ შეხვედრას ტოჩინოშინი დასავლეთის მე-16 მაეგაშირა ტიეხაკუხოსთან ჩაატარებს.

იოკოძუნა ასასიორუმ სიტატენაგეთი მოუგო დასავლეთის პრიველ მაეგაშირა ვაკანოხოს. დიდი იოკოძუნას ანგარიშზე ჯერჯერობით მხოლოდ ერთი გამარჯვებაა.

დაუმარცხებელია მეორე იოკოძუნა ჰაკუხო, რომელმაც გუშინდელ ორთაბრძოლაში კოტენაგეთი დასცა აღმოსავლეთის პირველი მაეგაშირა ამინისიკი.

წარმატებით გამოვიდნენ ოძეკები კოტოოსიუ და კოტომიცუკი. მათ, შესაბამისად, დასავლეთის მე-2 მაეგაშირა ხოკუტორიკი და კომუსუბი კისენოსატო დაამარცხეს.

ზურაბ მიგრიაული

შავი მთა, ოქროს მედლები

იუგოსლავიური წყალბურთის პრინციპი: დაიყავი და იბატონე

ესპანურ მალაგაში წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატი დასრულდა. მალაგაში კაცების ჩემპიონატიც ჩატარდა და ქალებისაც, ოღონდაც ფინალურ ეტაპზე სუსტი სქესის წარმომადგენლები რვა ნაკრებით იყვნენ წარმოდგენილნი, კაცები კი — თორმეტით.

ქალებში ჩემპიონები რუსები გახდნენ, რომლებმაც ნახევარფინალში იტალიელებს მოუგეს 8:5, ფინალში კი მასპინძლები 9:8 დაამარცხეს. მანამდე ესპანელებმა ნახევარფინალში ფავორიტებად მიჩნეულ უნგრელებს 8:7 სძლიეს. მესამე ადგილზე სწორედ უნგრელები გავიდნენ მას შემდეგ, რაც იოლად, 9:6 გაუსწორდნენ იტალიელებს.

კაცების ტურნირი კი სენსაციურად დასრულდა და ევროპის ჩემპიონობა ჩერნოგორიელმა წყალბურთელებმა მოიპოვეს. ჩერნოგორია ძველი იუგოსლავიის ნაწილია, წყალბურთის იუგოსლავიური სკოლა კი საქვეყნოდ განთქმულია, მაგრამ იმ ქვეყნის გუნდისგან, რომელმაც დამოუკიდებლობა ახლახანს მიიღო, ასეთ შედეგს მაინც არავინ ელოდა.

წყალბურთის იუგოსლავიური სკოლის სიძლიერე კი მალაგაში თვალსაჩინოდ გამოჩნდა — ოთხი ნახევარფინალისტიდან სამი ამ ქვეყნის განაყოფები იყვნენ — სერბეთი, ხორვატია და ჩერნოგორია, რომელთა კომპანიაშიც წყალბურთის კიდევ ერთი კლასიკური ქვეყანა, უნგრეთი მოხვდა.

ნახევარფინალში სერბებმა უნგრელებს დამატებით დროში 8:7 მოუგეს, ხოლო ჩერნოგორიელებმა 9:7 დაამარცხეს ხორვატები.

ფინალური მატჩი სუპერდრამატული გამოდგა და ჩერნოგორიელებმა ყოფილი თანამოძმეების წინააღმდეგობა დამატებით დროშიღა გატეხეს — 6:5. მესამე ადგილი კი კაცებშიც უნგრელებს დარჩათ, რომლებმაც ასევე დამატებით დროში 15:14 აჯობეს ხორვატებს.

სარეიტინგო ადი-ჩადი

თითქმის ერთწლიანი შესვენების შემდეგ ირაკლი ლაბაძე ATP-ის რეიტინგს დაუბრუნდა. 27 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა გასულ კვირაში ჰოლანდიური შევენინგენის 85-ათასევროიან ჩელენჯერზე მეოთხედფინალს უწია, 19 სარეიტინგო ქულა მიიღო და კლასიფიკაციაში 777-ე ადგილი დაიკავა. შეგახსენებთ, რომ კარიერის უმაღლესი, 42-ე პოზიცია ირაკლის ზუსტად ოთხი წლის წინათ, 2004 წლის ივლისში ეკავა.

ამრიგად, კაცთა მიმდინარე კლასიფიკაციაში, უკვე ექვსი ქართველია, ხოლო ქალთა რეიტინგში კვლავაც 11 ჩვენიანია. მათი აბსოლუტური უმრავლესობა, დაახლოებით ისევ იქ არის, სადაც ერთი კვირის წინათ იყო. გამონაკლისი მხოლოდ მაკა ჩახნაშვილია, ვისაც პალერმოს 145-ათასიან ტურნირზე კვალიფიკაციიდან მეოთხედფინალამდე მისვლა დაუფასდა. მაკამ 30 სარეიტინგო ქულა მიიღო და ერთბაშად 29 პოზიცია მოიგო. ის ახლა 179-ეა. 178-ე ადგილზე კი ანა ტატიშვილია, ვინაც ჩახნაშვილს საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალის წოდება ამ ერთი კვირის წინათ ჩამოართვა.

ბადრი ფოტოკორესპონდენტი

კაცები

458 (-6) ლადო ჩიხლაძე	62
777 (-) ირაკლი ლაბაძე	19
1166 (-13) ნოდარ ითონიშვილი	5
1274 (-13) ლაზარე კუხალაშვილი	3
1602 (-5) გიორგი ჭანტურია	1
1816 (-10) გიორგი ხრიკაძე	1

ქალები

178 (-4) ანა ტატიშვილი	164
179 (+29) მაკა ჩახნაშვილი	161
303 (-1) სოფო შაფათავა	77
492 (-4) თინა ყავლაშვილი	34
554 (+2) ოქსანა კალაშნიკოვა	27
589 (-6) მანანა შაფაქიძე	24
609 (-73) სალომე დევიძე	22
685 (-1) სოფო ქვაცაბაია	17
728 (-3) ეკა გორგოძე	14
922 (-8) მაგდა ოქრუაშვილი	6
1014 (-12) სოფო მელიქიშვილი	4

ჩახნაშვილს დომინგეს ლინო ერგო

მაკა ჩახნაშვილი, რომელმაც მშვენივრად ითამაშა წინა კვირაში, იტალიური პალერმოს თიხნარზე WTA-ტურის ეგიდით გამართულ 145-ათასდოლარიან ტურნირზე, ამ დღეებში მეორე იტალიურ ქალაქ ბიელაშია, სადაც ITF-ის ეგიდით საკმაოდ წარმომადგენლობითი, 100-ათასიანი შეჯიბრი ტარდება.

მაკა ძირითად ბადეშია, მაგრამ წილისყრამ ნამდვილად არ გაუმართლა — პირველ წრეში მეორე ნომრად განთესილ ესპანელ ლურდეს დომინგეს ლინოს ხვდება. 27 წლის დომინგეს ლინო ამჟამად 103-ეა WTA-ს რეიტინგში, საუკეთესო, მე-40 პოზიცია კი ორი წლის წინათ ეკავა.

თუ ამ ესპანელს მოუგებს, მეორე წრეში ჩახნაშვილი ლატვიელ ირინა კუზმინასა და იტალიელ ვიკენ ვიერინის შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება.

კიდევ ერთი ჩვენიანი, კერძოდ კი სალომე დევიძე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ატლანტას მაგარსაფარზე მიმდინარე 10-ათასიან ტურნირზე ითამაშებს. სალომეც ძირითად ბადეშია და სავარაუდოდ, მე-3 ნომრად იქნება განთესილი.

კაცები

განთესვის რეიტინგი

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	6600
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	6055
3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	4945
4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	2970
5. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	2945
6. ენდი როდიკი (აშშ)	2065
7. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	2030
8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	1975
9. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	1805
10. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია)	1785
11. რიშარ გასკე (საფრანგეთი)	1445
12. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი)	1435
13. რადეკ შტეფანეკი (ჩეხეთი)	1410
14. ტომი რობრედო (ესპანეთი)	1400
15. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი)	1375
16. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	1365
17. მიხაილ იუჟნი (რუსეთი)	1320
18. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი)	1265
19. ხუან მონაკო (არგენტინა)	1240
20. ივო კარლოვიჩი (ხორვატია)	1220

საჩემპიონო რბოლა

1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	955
2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	685
3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	649
4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	371
5. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	306
6. ენდი როდიკი (აშშ)	240
7. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი)	238
8. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია)	236
9. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	235
10. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	216
11. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი)	200
12. რადეკ შტეფანეკი (ჩეხეთი)	178
13. მიხაილ იუჟნი (რუსეთი)	176
14-15. ტომი რობრედო (ესპანეთი)	173
14-15. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი)	173
16. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	172
17. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	170
18. რობინ სედერლინგი (შვედეთი)	162
19. მარიო ანჩიჩი (ხორვატია)	161
20. მიშელ ლოდრა (საფრანგეთი)	160

ქალები

განთესვის რეიტინგი

1. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	3828
2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	3685
3. მარია შარაპოვა (რუსეთი)	3626
4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	3455
5. სერენა უილიამსი (აშშ)	3126
6. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	3105
7. ვინუს უილიამსი (აშშ)	2606
8. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)	2486
9. დინარა საფინა (რუსეთი)	2287
10. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)	2141
11. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	1972
12. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	1927
13. პატი შნიდერი (შვეიცარია)	1802
14. აგნეს სუავაი (უნგრეთი)	1654
15. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი)	1420
16. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი)	1386
17. ნადია პეტროვა (რუსეთი)	1321
18. ალიზ კორნე (საფრანგეთი)	1312
19. მარია კირილენკო (რუსეთი)	1208
20. ფრანჩესკა შიავონე (იტალია)	1201

საჩემპიონო რბოლა

1. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	2761
2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	2645
3. სერენა უილიამსი (აშშ)	2465
4. მარია შარაპოვა (რუსეთი)	2455
5. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	2051
6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	1821
7. ვინუს უილიამსი (აშშ)	1766
8. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)	1727
9. დინარა საფინა (რუსეთი)	1723
10. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	1523
11. ალიზ კორნე (საფრანგეთი)	1067
12. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)	955
13. პატი შნიდერი (შვეიცარია)	945
14. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი)	883
15. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	846
16. ფლავია პენეტა (იტალია)	832
17. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია)	790
18. აგნეს სუავაი (უნგრეთი)	788
19. ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი)	780
20. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია)	749

ძველი სანტორო ახალ პორტში

კაცები
ნიუპორტი. აშშ. ბალახი
საპრიზო 385 000 დოლარი

ფინალი

ფაბრის სანტორო (2, საფრანგეთი) — პრაკაშ არმიტრაი (ინდოეთი) 6:3 7:5

ამაზეა ნათქვამი, ბებერი ხარის რქებიც ხნავენო. ფაბრის სანტოროს ასაკში მეჩოგნეთა უმეტესობას კორტი კარგა ხნის მიტოვებული აქვს, მაგრამ ვეტერანი ფრანგი ჩოგბურთის გარეშე ვერ ძლებს და არაფრის დიდებით არ გეგმავს სპორტიდან წასვლას. 35 წლის გალი აგერ უკვე მერამდენე წელიწადია, თავის ჭიას ახარებს და სეზონში რამდენიმე ლამაზ სპექტაკლს დგამს.

ბოლო ორი სეზონია, სანტოროს ოქროს საბადოდ ნიუპორტის ტურნირი ექცა — ფრანგი მეორედ ჩავიდა ამ ამერიკულ ქალაქში და მეორედ იჩემპიონა. სხვათა შორის, სანტორო მხოლოდ მესამე ჩოგბურთელია, ვინც იქ ზედიზედ ორჯერ მოახერხა გამარჯვება. ოვიუ აქამდე მხოლოდ მასპინძელ ბრაიან შელტონს (1991-92 წლები) და ბრიტანელ გრეგ რუზეცკის (2004-05) გაეკეთებინათ.

ფინალში სანტორო კვალიფიკაციიდან მოხვედრილ ინდოელ პრაკაშ არმიტრაის ეთამაშებოდა და მთლიანობაში ადვილადაც მოუგო, რადგანაც მატჩმა მხოლოდ საათსა და 15 წუთს გასტანა.

სხვათა შორის, ბოლო 35 წლის ჩოგბურთელი, ვინც ტურნირს მოგება შეძლო, ანდრე აგასი გახლდათ. მან 2005 წელს ლოს ანჯელესში იჩემპიონა.

ქალები
პალერმო. იტალია. თიხნარი
საპრიზო 145 000 დოლარი

ფინალი

სარა ერანი (ნ, იტალია) — მარია კორიცევა (უკრაინა) 6:2 6:3

პალერმოში კვირას, გვიან ღამით ჩამთავრებული ტურნირი სარა ერანის ბენეფისად იქცა, რომელმაც თავისი პირველი საკარიერო ტიტულები მოიგო ერთეულთა და წყვილთა თანრიგებში.

იტალიელმა ჯერ შაბათს მეწყვილე ნურია ლაგოსტერა ვივესთან ერთად დაამარცხა ანასტასია პავლიუჩენკოვასა და ალა კუდრიავცევას დუეტი, კვირას კი ერთეულთა ფინალში საკმაოდ დამაჯერებლად გააკრა ბეჭებზე მარია კორიცევა. ჩვენში დარჩეს და ერანის ფინალში არც არავინ ელოდა. მის მაგივრად ტიტულისთვის ბრძოლას კიდევ ერთ მასპინძელს, ფლავია პენეტას უწინასწარმეტყველებდნენ (სხვათა შორის, მეოთხედფინალში სწორედ პენეტასთან დამარცხდა ჩვენებური მაკა ჩახნაშვილი), მაგრამ ერანიმ პირველ სეტში 1:5 ჩამორჩენა აღმოუფხვრა პენეტას და მერე მალევე მოუთავა საქმე.

როგორც ხედავთ, ამით ფრთაშესხმულმა ერანიმ ფინალში არც კორიცევა დაინდო და კარიერაში პირველი ტრიუმფიც გადაიხადა.

ძახა ლომაშვილი



დავით ილარიანმა ლიცენზია გამოთარჯა

იერუსალიმში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე დავით ილარიანმა საქართველოს ოლიმპიურ გუნდს 32-ე ლიენზია მოუპოვა. ამასთან ერთად, ილარიანმა საქათველოს რეკორდიც დაამყარა. ისრაელის ტურნირზე 110 მეტრზე თარჯრბენში ქათრველმა სპორტსმენმა 13,67 წამი აჩვენა, ოლიმპიური ნორმატივი კი 13,72 წამია.

ილარიანის გარდა, ქართველ მძლეოსანთაგან ოლიმპიური ლიცენზია ბირთვის მკვრელ მარიამ ქევხიშვილს აქვს. დათოც და მარიამიც ერთად გაემგზავრებიან პეკინში თბილისური შეკრების შემდეგ.

ზურაბ მიგრიაული



დუეინ ჩემბერსი

10 წამი სტადიონიდან სასამართლომდე

ბირმინგემში დიდი ბრიტანეთის მძლეოსანთა ოლიმპიადისწინა საკვალიფიკაციო შეჯიბრი ტარდება და იქ რამდენიმე სათქმელად აღსანიშნავი ამბავიც მოხდა.

დავიწყოთ იმით, რომ კაცთა 100 მეტრზე გარბენი ევროპელი სპრინტერებისთვის შშვენიერი, 10,00 წამით მოიგო დუეინ ჩემბერსმა და თითქოს, რაღა უნდა იყოს სალაპარაკო, მაგრამ 30 წლის მორბენალს პეკინის საგზურისთვის მთავარი ბრძოლა ჯერ კიდევ წინ აქვს და თანაც სასამართლოში.

საქმე ის გახლავთ, რომ ჩემბერსი, რომელიც ოდესღაც ევროპის ჩემპიონიც იყო და მსოფლიო პირველობაზე ვერცხლიც აქვს მოპოვებული, 2003 წელს დოპინგზე ჩავარდა და როგორც ასეთ დროს, ანუ აკრძალული პრეპარატების პირველად გამოყენებისას ხდება ხოლმე, ორწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა.

ჩემბერსმა დისკვალიფიკაციის ვადა პატიოსნად კი მოიხადა და მას არც სირბილს უშლის ვინმე, მაგრამ დიდი ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაციის წეს-კანონებით, სპორტსმენს, რომელიც თუნდაც ერთხელ არის დოპინგის მიღებაში მხილებული, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა ეკრძალება.

ჩემბერსს კი პეკინში სირბილი უნდა და არის ერთი ვაი-უშველებელი ატეხილი. 100-მეტრიან გზაზე ჩემბერსმა დაამტკიცა, რომ ბრიტანეთში ბადალი არ ჰყავს. ახლა მან საკუთარი სიმართლე სასამართლოში უნდა დაამტკიცოს. ჩემბერსის საქმის მოსმენა, სავარაუდოდ, ხვალ, 16 ივლისს დაიწყება,

თუმცა, დავუბრუნდეთ ბირმინგემის სტადიონის სარბენ ბილიკებსა და სახტომ-სატყორცნ სექტორებს. მით უმეტეს, რომ ფილიპ იდოვუმ სამხტომში 17 მეტრსა და 58 სანტიმეტრზე ისკუპა და ეს კი სეზონის საყოველთაო რეკორდი გახლავთ. წითელთმიანი ზანგი მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონია და საპეკინოდაც ისე დაქოქილი ჩანს, ჩინეთიდან უმედლოდ არ უნდა დაბრუნდეს.

ბირმინგემში ორი შიდა რეკორდიც დამყარდა, თუმცა კი ნაკლებად პოპულარულ სახეობებში — ქალთა 3 000 მეტრზე წინაღობებით სირბილში დიდი ბრიტანეთის რეკორდი ელენ კლაიტერმა დაამყარა, ხოლო ქალთა შორისვე 5 კილომეტზე სპორტულ სიარულში ჯოანა ჯეკსონი გამოირჩა.

ქვეყა გაიკის ბოლტი

იამაიკელი ჯეელი უსაინ ბოლტი ისეთი „ბოლტი“ ჩანს, ყველა სპრინტერულ „გაიკას“ კარგად რომ ერგება და დიდად რომ არ ნაღვლობს თანამედროვე სპრინტის სხვა ყოჩების, თავისივე თანამემამულის ასაფა პაუელისა და ამერიკელი ტაისონ გაის ამბებით.

შეგახსენებთ, რომ ბოლტმა, რომელიც შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის 200 მეტრის ვერცხლის მედალოსანია, ამ ცოტა ხნის წინ პაუელს 100 მეტრის მსოფლიოს რეკორდი ჩამოართვა და ეს ასი მეტრი გონების დამბინდავ 9,72 წამში გაირბინა და მერე, უკვე იამაიკის ჩემპიონატში, უშუალოდაც აჯობა პაუელს.

თავად ასაფა კი ვერაფრით ახერხებს ძველებურად სირბილს. აგერ, გასულ პარასკევს, „ოქროს ლიგის“ რომის ეტაპზე ექს-რეკორდსმენს საზარდული დაეჭიმა და ფინალს მიღმა დარჩა. იქით კიდევ გაის აქვს პრობლემები — ამერიკის შიდა პირველობაზე 200 მეტრის წინასწარ გარბენში დაეცა და საპეკინოდ 100 მეტრის იმედზედა დარჩა.

ბოლტი კი დაფრინავს. 100 მეტრის რეკორდი ხომ ჩემიაო და კვირა საღამოს ათენში, იაფ-ის (მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციათა ასოციაცია) დიდი პრიზის სერიის შეჯიბრზე 200 მეტრი 19,67 წამში გაირბინა და ეს სეზონის რეკორდი გახლავთ და თავად ბოლტის შარშანდელ პირად რეკორდს წამის 8 მეასედით სჯობს.

ვინ იცის, უსაინს ათენში ხეირიანი მეტოქეები რომ ჰყოლოდა, უფრო სწრაფადაც ერბინა, თორემ ისე რა გამოვიდა — როდესაც მეორე ადგილზე გასული მთელი 0,71 წამით ჩამოგრჩება, ბოლო მეტრებზე თავადაც დაკარგავ სირბილის ხალისს.

ბოლტის გარდა, ათენში სეზონის საუკეთესო შედეგი შვედმა სიმაღლეზე მხტომელმა შტეფან ჰოლმმაც აჩვენა. ჰოლმი 2 მეტრსა და 37 სანტიმეტრზე აფრინდა და ეს კი ერთი სანტიმეტრით სჯობს ამერიკელი დისტი ჯონსის წლევანდელ ნახტომს.

იოლად მოიგო 110 მეტრზე თარჯრბენის კუბელმა მსოფლიოს რეკორდსმენმა დეირონ რობლესმა, რომელმაც 13,04 წამში დაფარა თავისი დისტანცია და მთელი 0,23 წამით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ ამერიკელ დევიდ პეინს.

ჭოკით 5 მეტრსა და 90 სანტიმეტრზე აფრინდა ამერიკელი მსოფლიოს ჩემპიონი და სეზონის საუკეთესო შედეგის (6,04) მფლობელი ბრედ უოკერი.

ზოგადად, სახტომ სექტორებში, ათენის დიდ პრიზზე კაცებმა მშვენიერი შედეგები აჩვენეს. მასპინძლები გაახარა ლუის ცატუმასმა, რომელმაც სიგრძეზე 8 მეტრსა და 44 სანტიმეტრზე ისკუპა, ხოლო სამხტომში პორტუგალიელმა ნელსონ ევორამ იმარჯვა რიგიანი 17,23 მეტრით.

ქალებიდან ბოლტის თანამემამულე ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი უნდა გამოვყოთ. შეგახსენებთ, რომ იამაიკის შიდა ჩემპიონატში, არნახული კონკურენციის პირობებში კემპბელ-ბრაუნი 100 მეტრზე ოდენ მეოთხე იყო და პეკინში ამ დისტანციაზე ვეღარ ირბენს, 200 მეტრისა და 4X100 მეტრზე ესტაფეტის იმედად დარჩა. მას შემდეგ ვერონიკა მუდმივად ცდილობს დაამტკიცოს, რომ 100 მეტრზეც მაგარია და აგერ, ათენშიც, მან ყველას აჯობა მშვენიერი, 10,92 წამი შედეგით.

400 მეტრის ამერიკელმა პრიმამ სანია რიჩარდსმა სტადიონის ერთ წრეს 49,86 წამში შუმოურბინა და კაცმა რომ სიმართლე თქვას, ქალთა შორის ათენში მეტი საინტერესო არც არაფერი მომხდარა.



უსაინ ბოლტი



უმცროსი ჩავესის საეჭვო მოგება

მორიგი ბრძოლა გამართა მექსიკური კრივის ცოცხალი ლეგენდის ხულიო სეზარ ჩავესის შვილმა, ხულიო სეზარ ჩავეს-უმცროსმა. ამ ბიჭს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ და არცთუ ტყუილად, რადგანაც უმცროსმა ჩავესმა უკვე მოასწრო რამდენიმე რიგიანი ჯახის ჩატარება.

ახალგაზრდა მექსიკელს ამ უქმეებზე ძალიან მძიმე ბრძოლის გადატანა მოუხდა და მართალია, წაგებას ახლაც გადაურჩა, მაგრამ ბევრის შეფასებით ამის მთავარი მიზეზი მსაჯები უფრო არიან.

ჩავეს-უმცროსი ამერიკელ მეტვანდას დაეჯახა და თავიდან გვარიანი უპირატესობაც მოიპოვა. ეტყობოდა, ახალგაზრდა მექსიკელს აქცენტი ბრძოლის სწრაფად დამთავრებაზე ჰქონდა გაკეთებული, თუმც ამერიკელმა გაუძლო მეტოქის საწყის შტურმს და ნელ-ნელა თვითონაც დაიწყო პასუხის გაცემა. ათრაუნდიანი ბრძოლის შუაწელზე რინგზე მდგომარეობა გათანაბრდა და მოკრივეებმაც მშვენიერი სანახაობა აჩუქეს მაყურებელს, როცა ძალიან ღია და ეშხიანი ჩხუბი გააჩაღეს.

ბოლო რაუნდებში კი უკვე ვანდას უპირატესობა გამოიკვეთა, რადგანაც ამ დროისთვის 22 წლის მექსიკელი აშკარად გადაიღალა. თუმც მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩავესმა მაინც გაძლო და ფიცარნაგზე ერთხელაც არ დავარდა. ამის მიუხედავად, ცოტას თუ ეპარებოდა ეჭვი, რომ გამარჯვება ამერიკელს უნდა დარჩენოდა, მაგრამ მსაჯებმა სხვანაირად გადაწყვიტეს — ორმა რეფერიმ მექსიკელის მხარე დაიჭირა, თან აქედან ერთ-ერთის დავთრის მიხედვით, თურმე ჩავესს ყველა რაუნდში ეჯობნა მეტოქისთვის.

ამან დარბაზში დიდი არეულობა გამოიწვია და ეს მაშინ, როცა ბრძოლა მექსიკაში გაიმართა, სადაც მაყურებელი თითქოსდა ნასიამოვნები უნდა დარჩენილიყო, მაგრამ მსაჯთა უსამართლობამ მექსიკელებიც აღაშფოთა და მათ რინგზე სხვადახვა საგნების სროლა დაიწყეს. ეგ კი არა, სტვენა ადგილობრივთა კერპ ჩავეს-უფროსსაც არ ასცდა, რომელიც მაყურებლის დაშოშმინებას ცდილობდა.

ბაბა ლომაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

ფერარ(ი)ული საუბრები

მაკლარენი სწრაფია, მაგრამ ტესტი ტესტად არ გამოდგება

დიდი ბრიტანეთის დიდ პრიზზე განცდილი ფიასკოს შემდეგ „სკუდერია ფერარის“ პოზიციები კი შეირყა, თუმც არა იმდენად, რომ „ალისფერებში“ პესიმიზმმა დაისადგუროს. სხვა თუ არაფერი, „ფერარი“ ჯერაც დამაჯერებლად ლიდერობს გუნდურ ჩათვლაში, ხოლო პირადი პირველობის სამი მოწინავიდან ორი, სწორედ „სკუდერიას“ პილოტია — კიმი რაიკონენი და ფელიპე მასა „მაკლარენელ“ ლუის ჰემილტონთან ერთად იყოფენ პირველობას და უხასიათობას ნამდვილად არ უჩივიან.

„ჩვენ ძლიერი გუნდი ვართ და ყველა რბოლაში ვცდილობთ ამ სიძლიერის დამტკიცებას. ქომაგები ჩვენგან ყოველთვის გამარჯვებას ელიან, მაგრამ ამის გაკეთება იოლი არ არის. წყალი არ გაუვა, მალე ისევ მოვიგებთ. მთავარია, ისევე თავდაუზოგავად ვიმუშაოთ, როგორც აქამდე ვმუშაობდით — განაცხადა მსოფლიოს ჩემპიონმა კიმი რაიკონენმა და დაამატა — ჯერ ძნელია იმის თქმა, რა მოხდება გერმანიის დიდ პრიზზე. რა თქმა უნდა, „მაკლარენი“ ძალზე სწრაფი იქნება, მაგრამ სისწრაფე არც ჩვენ დაგვიკარგავს. ჰოკენჰაიმური ტესტებით ძალიან კმაყოფილი ვარ და მარცხი სილვერსტოუნზე უკვე დავიწყებულია. იქ ჩვენ უამრავი შეცდომა დავუშვით, მაგრამ ხანდახან ასეც ხდება. მთავარია, ჩემპიონატს კვლავაც ჩვენ ვლიდერობთ. შეიძლება ბლომად ქულები დავკარგეთ, მაგრამ ეს სპორტია და ასეთები ხდება ხოლმე“.

თანაგუნდელს მხარი ფელიპე მასამაც აუბა. „არანაირად არ მაღელვებს ჰემილტონის სისწრაფე და მის მიერ ჰოკენჰაიმის ტესტებზე ნაჩვენები შედეგები. „მაკლარენი“ მართლაც სწრაფია, მაგრამ არც „ფერარია“ ჯაბანი. თანაც ტესტებზე ნაჩვენებ დროს დიდი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ — იქ ხო გუნდები სხვადასხვა კომპონენტის დახვეწაზე მუშაობენ. აქედან გამომდინარე, ძალზე ძნელია თქვა, თუ ვინ არის უფრო სწრაფი, როდესაც გუნდები განსხვავებული გეგმებით მოქმედებენ.

რაც შეეხება სილვერსტოუნს, იქ მეც დავუშვი შეცდომები და გუნდიც შეცდა, როდესაც არასწორი სტრატეგია შეარჩია, მაგრამ შეცდომები მარტო „ფერარის“ არ დაუშვია“ — განაცხადა ბრაზილიელმა.

კახა ლომაძე

რაიკონენი, ჰემილტონი, მასა...



კიმი რაიკონენი

მოახლოვდა საპირველფორმულო ჩემპიონატის მორიგი ეტაპი, ჰოკენჰაიმში გასამართი გერმანიის დიდი პრიზი და „უილიამ ჰილის“ საბუქმეიკერო კანტორამაც გამოაქვეყნა თავისი ფსონები.

„უილიამ ჰილის“ აზრით, გერმანულ რბოლას ორი გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავს „ფერარის“ კიმი რაიკონენისა და „მაკლარენ-მერსედესის“ ლუის ჰემილტონის სახით, თუმც ბუქმეიკერებმა მცირე უპირატესობა, მაინც ფინელ მრბოლს მიანიჭეს — რაიკონენის გამარჯვებაზე ფსონები 2,62/1 კოეფიციენტით მიღება, ხოლო ჰემილტონის მოგება 2,75/1-ად ფასობს.

ორ ფავორიტს 4/1 კოეფიციენტით მცირედით ჩამორჩება რაიკონენის ბრაზილიელი თანაგუნდელი ფელიპე მასა, შემდეგ კი ჰემილტონის ფინელი თანაგუნდელი ჰეიკი კოვალაინენი და „BMW-ზაუბერის“ პოლონელი პილოტი რობერტ კუბიცა მოდიან ერთნაირი, 13/1 კოეფიციენტით.

წინა, ბრიტანული ეტაპის ერთ-ერთ გმირის, კუბიცას გერმანელი თანაგუნდელის ნიკ ჰაიდფელდის შანსებს ბუქმეიკერები 26/1-ად აფასებენ, ხოლო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, „რენოს“ ესპანელ ფერნანდო ალონსოს 40/1 კოეფიციენტი აქვს.

კახა ლომაძე

სატო დაბრუნებაზე ოცნებობს



ტაკუმა სატო

შეგახსენებთ, რომ წლევანდელი საპირველფორმულო ჩემპიონატი თერთმეტმა გუნდმა დაიწყო, მაგრამ შემდეგ იაპონურ „სუპერ აგურის“ ფინანსური პრობლემები შეექმნა და გუნდის მეპატრონე აგური სუძუკი იძულებული გახდა, თავისი საჯინიბო ჩემპიონატიდან მოეხსნა.

„სუპერ აგურის“ ყოფილი პილოტი, იაპონელი ტაკუმა სატო არ კარგავს იმედს, რომ ერთ მშვენიერ დღეს „სამეფო რბოლებში“ დაბრუნდება.

„სუპერ აგურის“ დაშლის შემდეგ ფორმულა 1-ის ეტაპების ყურება ჩემთვის ადვილი არ ყოფილა, მაგრამ მაინც ვაკეთებდი ამას, რადგანაც დაბრუნების იმედი მაქვს და ყველაფრის საქმის კურსში უნდა ვიყო — განაცხადა სატომ და დაამატა — მე უკვე დავწყე ვაკანტური ადგილის ძიება. თუ საინტერესო არაფერი იქნება, ტესტ-პილოტობასაც დავთანხმდები, მაგრამ ეს უკიდურეს შემთხვევაში. ჯერჯერობით კი ვიმედოვნებ, რომ კვლავაც საპრიზო პილოტი ვიქნები და პირველი ფორმულის ცხოვრებით ვიცხოვრებ“.

კახა ლომაძე

კეისი სტოუნერმა მეტოქეები ახლოს არ გაიკარა

კეისი სტოუნერის ზედიზედ სამი

„სამეფო“, მოტოჯიპის კლასში მსოფლიოს შარშანდელმა ჩემპიონმა, ავსტრალიელმა კეისი სტოუნერმა წლევანდელი სეზონიც გამარჯვებით დაიწყო, მაგრამ შემდეგ რაღაც დაემართა, ზედიზედ ოთხი რბოლა, სულაც პოდიუმსიღმა დარჩა და მოგების გემო კი მერვე, ბრიტანულ ეტაპზეღა გაიხსენა.

გაიხსენა და აღარც დაივიწყა — სტოუნერმა დიდი ბრიტანეთის შემდეგ ჰოლანდიის დიდი პრიზი დაისაკუთრა და გასულ კვირას კი ზაქსენრინგის ტრეკზე, კოკისპირულ წვიმაში გერმანიის დიდი პრიზიც მოიგო და ზედიზედ სამი გამარჯვება კუდზე დააჯდა მრავალგზის ჩემპიონ იტალიელ ვალენტინო როსის და ესპანელ დანიელ პედროსას, რომლებიც მორიგეობით ლიდერობენ გენერალურ კლასიფიკაციას.

ისიც სათქმელია, რომ ზედიზედ სამი გამარჯვების გარდა, კეისიმ მიჯრით ოთხი პოულიც მოიგო, ანუ ის ამ ეტაპზე მართლაც ყველაზე სწრაფია და დროის ამბავიღაა, თუ როდის შეძლებს ავსტრალიელი წინ მყოფი კონკურენტების გადასწრებას.

არადა, ზაქსენრინგული რბოლის სტარტი კვალიფიკაციისას მეორე შედეგის მქონე პედროსამ მოიგო, მაგრამ მეექვსე წრეზე თავისი „ჰონდა“ სველ გზაზე ვეღარ დაიმორჩილა, დაეცა და პირველობას ვინ ჩივის, საერთოდ უქულოდ დარჩა.

პედროსას ავარიის შემდეგ სტოუნერი უკონკურენტოდ დარჩა. მეორე ადგილზე გასული როსი ავსტრალიელს 3,7 წამით ჩამორჩა, ხოლო მესამე ადგილოსან თანამემამულე კრის ვერმიულენს კეისიმ, სულაც 14 წამით აჯობა.

უქულოდ დარჩა პედროსას თანამემამულე ხორხე ლორენცოც. არადა, ამ მრბოლმა სეზონი დიდებულად დაიწყო, მაგრამ შემდეგ ავარია შეემთხვა, ტრავმა მიიღო და ამან, როგორც ჩანს, ფსიქოლოგიურადაც გატეხა — ბოლო ხუთ რბოლაში ხორხემ ოდენ 20 ქულას მოუყარა თავი, მაშინ, როდესაც პირველ ხუთში 94 ჰქონდა.

გენერალურ კლასიფიკაციაში როსი დაწინაურდა, ვინც სტოუნერს 20 ქულას უგებს, ხოლო ძველ ლიდერ პედროსას ავსტრალიელი ოთხი ქულითღა ჩამორჩება.

„უმცროს“, 125-იანთა კლასში კი კვალიფიკაცია შარშანდელმა ჩემპიონმა, უნგრელმა გაბორ ტალმაშიმ მოიგო, მაგრამ რბოლისას ის მხოლოდ მესამე იყო, ხოლო პირველობა, წლეულს უკვე მესამედ, ფრანგ მიშელ დი მელიოს დარჩა და საერთო ჩათვლის თავშიც, სწორედ ის გახლავთ.

კახა ლომაძე

მსოფლიოს ჩემპიონატი საგზატკეცილო-წრიულ მოტორბოლაში
მე-10 ეტაპი. ზაქსენრინგი. გერმანია. 13 ივლისი

მოტო GP (30 წრე)

1. კეისი სტოუნერი (ავსტრალია, „დუკატი“)	47 წთ 30,057 წმ
2. ვალენტინო როსი (იტალია, „იამაჰა“)	47.33,765
3. კრის ვერმიულენი (ავსტრალია, „სუძუკი“)	47.44,059
4. ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, „ჰონდა“)	47.44,181
5. ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, „ჰონდა“)	48.12,079

საერთო ჩათვლა

1. როსი 187 ქულა; 2. დანიელ პედროსა (ესპანეთი, „ჰონად“) 171; 3. სტოუნერი 167; 4. ხორხე ლორენცო (ესპანეთი, „იამაჰა“) 114; 5. კოლინ ედვარდსი (აშშ, „იამაჰა) 98

250 კბ/სმ (29 წრე)

1. მარკო სიმონჩელი (იტალია, „გილერა“)	45 წთ 36,703 წმ
2. ექტორ ბარბერა (ესპანეთი, „აპრილია“)	45.38,960
3. ალვარო ბაუტისტა (ესპანეთი, „აპრილია“)	45.39,917
4. მიკა კალიო (ფინეთი, KTM)	45.40,ბაა
5. ხულიან სიმონი (ესპანეთი, KTM)	45.41,549

საერთო ჩათვლა

1. სიმონჩელი 164 ქულა; 2. კალიო 153; 3. ბაუტისტა 118; 4. ალექს დებონი (ესპანეთი, „აპრილია“) 114; 5. ბარბერა 113

125 კბ/სმ (27 წრე)

1. მიშელ დი მელიო (საფრანგეთი, „დერბი“)	40 წთ 03,710 წმ
2. შტეფან ბრადლი (გერმანია, „აპრილია“)	40.05,720
3. გაბორ ტალმაში (უნგრეთი, „აპრილია“)	40.06,443
4. ბრედლი სმითი (ბრიტანეთი, „აპრილია“)	40.06,557
5. სიმონე კორსი (იტალია, „აპრილია“)	40.12,827

საერთო ჩათვლა

1. დი მელიო 166 ქულა; 2. კორსი 136; 3. ტალმაში 109; 4. ბრადლი 101; 5. ხუან ოლივე (ესპანეთი, „დერბი“) 94

95-ე ტურ დე ფრანსი. 5-27 ივლისი

ვალვერდეს იმედები ტურმალეზე დარჩა

გუშინ „ტურ დე ფრანსის“ ქარავანმა პირინეების მთები მოიცალა. და ტურმალესა და ოტაკამის ლეგენდარულ მწვერვალებზე ბევრ კითხვას გაეცა პასუხი, თუმც საპასუხო ჯერ კიდევ ბევრი დარჩა.

უმაღლესი კატეგორიის სირთულის მთის, ზღვის დონიდან 2115 მეტრ სიმაღლეზე მდებარე ტურმალეს აღმართში უიმედოდ ჩამორჩნენ ალეხანდრო ვალვერდე და დამიანო კუნეგო. არადა, „ტურის“ დაწყებამდე ისინი ფავორიტთა პირველ ხუთეულში მოიაზრებოდნენ, ხოლო ვალვერდე კედელ ევანსთან ერთად, სულაც უმთავრეს ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ „კის დეპარნის“ ლიდერმა ვერც ინდივიდუალურ რბოლაში ივარგა და სამთო გამოცდაც ვერარ ჩააბარა, თანაც შშობლიურ პირინეებში.

ახლა ვალვერდე, უკვე 4 წუთსა და 41 წამს აგებს ყვითელ მაისურასთან და ალპებში სასწაული უნდა მოახდინოს, ამხელა ჩამორჩენა რომ ამოქაჩოს.

კუნეგო კიდევ უფრო უკანაა. 5 წუთსა და 37 წამს აგებს და „ლამპრეს“ ლიდერს, როგორც ჩანს წყალში ჩაეყარა მთელი წლევანდელი გათვლები და გეგმები — მან ხომ შშობლიურ „ჯიროზეც“ კი უარი თქვა და მთელი აქცენტი „ტურზე გაკეთა, მაგრამ...

გუშინდელ ეტაპს ანტიგმირების გარდა გმირებიც ჰყავდა. ერთ-ერთი მათგანი „ფრანსაიზ დე ჟუს“ ფრანგი რემი დი გრიგორიო იყო, რომელმაც ეულად გადაიარა ტურმალე და ოტაკამის აღმართს ყველაზე წინ, მარტო შეუყვა, მაგრამ შემდეგ მოწინავე ჯგუფმა ჩაყლაპა.

ცალკე უნდა ითქვამს მთელი გუნდის, დანიური CSC-ის შესახებ — იენს ფოიგტი და ფაბიენ კანცელარა მთელი გზა წინ მიუძღოდნენ თავიანთ ლიდერებს, კარლოს სასტრესა და ძმებს, ფრენკ და ენდი შლეკებს. მერე, ბოლო აღმართში სამკაპიტნიანი გუნდის ლიდერები დაცილდნენ ერთმანეთს — ფრენკი წინ გაიჭრა, ენდი ჩამორჩა, ხოლო სასტრე ევანს, დენის მენშოვს, კრიტსიან ვანდეველდეს და რიკარდო რიკოს შეეკრა.

ფრენკ შლეკთან ერთად იერიშზე „სონი დიუვალის“ მთიელები, ვეტერანი იტალიელი ლეონარდო პიეპოლი და ესპანელი ხუან ხოსე კობო გადავიდნენ. ამ სამეულმა ევანსის ჯგუფთან ორწუთიანი უპირატესობა მოიპოვა და უანასკნელ კილომეტრებზე კი პიეპოლიმ და კობომ შლეკი უკან მოიტოვეს.

ესპანელმა 36 წლის თანაგუნდელს დიდსულოვნად დაუთმო პირველობა და პიეპოლიმაც თავის თოთხმეტწლიან კარიერაში კიდევ ერთი, ვინ მოთვლის მერამდენე ლამაზი გამარჯვება მოიპოვა.

შლეკი „სონი დიუვალის“ მრბოლებს 28 წამით ჩამორჩა, ხოლო კიდევ წუთისა და 49 წამის შემდეგ ფინიშს ევანსის ჯგუფმა უწია. დაითვალეს და გამოვიდა, რომ გენერალურ კლასიფიკაციაში, სწორედ ავსტრალიელი კედელ ევანსი დაწინაურდა და იგი მეორე ადგილზე მყოფ ფრენკ შლეკს ერთადერთი წამით უსწრებს. არადა, ევანსს თანაგუნდელები, ჯერ კიდევ ტურმალეს აღმართში შემოეცალნენ, მაგრამ კედელმა მარტომაც გაძლო, მართლა კედელივით დაუდგა CSC-ის, „სონი დიუვალისა“ და „რაბობანკის“ ხალხს და ყველასთვის სასურველი ყვითელი მაისურა მოირგო.

ძველი ლიდერი, ამერიკული „კოლუმბიას“ ლუქსემბურგელი კიმ კირხენი მეშვიდე ადგილზე დაქვეითდა. მან ევანსის ჯგუფთან 2 წუთი წააგო და ძველი ლიდერი ახალს წუთითა და 56 წამით ჩამორჩება.

დღეს ტურზე დასვენების დღეა. შემდეგ ოთხი, შედარებით მსუბუქი ეტაპი იქნება და მერე კი ალპები დაიწყება, სადაც ველოქარავანს დამდეგ კვირას, ორშაბათს და სამშაბათს სამი კოშმარული დღე აქვს გადასატანი.

მე-10 ეტაპი. პო — ოტაკამი. 156 კმ

1. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, „სონი დიუვალი“)	4სთ 19წთ 27წმ
2. ხუან ხოსე კობო (ესპანეთი, „სონი დიუვალი“)	იგივე დრო
3. ფრენკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC)	+28წმ
4. ბერნარდ კოლი (გერმანია, „გეროლშტაინერი“)	+1.06
5. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, AG2R)	+2.05

საერთო ჩათვლა

1. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო“)	42სთ 29წთ 09წმ
2. ფრენკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC)	+1წმ
3. კრისტიან ვანდეველდე (აშშ, „ჯერმენ შიპოტლი“)	+38
4. ბერნარდ კოლი (გერმანია, „გეროლშტაინერი“)	+46
5. დენის მენშოვი (რუსეთი, „რაბობანკი“)	+57

ლეონარდო პიეპოლი
და ხუან ხოსე კობო

ბრაზილიელ ქალთა მეშვიდე დიდი პრიზი

კვირას იაპონიის ქალაქ იოკაჰამაში დასრულდა ფრენბურთელ ქალთა მსოფლიო გრან პრი, რომელიც ისედაც ძალიან პრესტიჟული ტურნირია, მაგრამ ამჯერად განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა. პეკინის ოლიმპიადა ხომ კარსაა მომდგარი და ამის ფონზე საინტერესო იყო იმის დანახვა, თუ რა ფორმაში ხვდებიან ნაკრებები ოთხწლეულის უმთავრეს შეჯიბრს.

იოკაჰამამდე ნაკრებებს ჯგუფურ ეტაპზე მოუწიათ თამაში. სულ სამი ჯგუფი იყო, საიდანაც ორ-ორმა საუკეთესომ გაინარდა ამომავალი ქვეყნის საგზური.

აქ უკვე ექვსი ნაკრები ერთად მოხვდა, სადაც გამარჯვებული ჯგუფური სისტემის მიხედვით უნდა გამოვლენილ ყო — ანუ ყველას ყველასთან უნდა ეთამაშა და პირველობა იმ გუნდს დარჩებოდა, რომელიც ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებდა. აქვე დავამატებთ, რომ გრან პრიში მონაწილეობაზე თავიდანვე უარი თქვა ერთ-ერთმა ფავორიტმა, რუსეთმა. მათმა იტალიელმა მწვრთნელმა ჯოვანი კაპრარამ ოლიმპიადისთვის მზადება შინაურ გარემოში არჩია.

ფინალურმა ეტაპმა კი ბოლო წლების ალბათ საუკეთესო ნაკრების ბრაზილიელთა დომინირებით ჩაიარა, რომლებმაც მეტოქეთაგან ქვა ქვაზე არ დატოვეს და უკვე მეშვიდედ მოიგეს გრან პრი. სამხრეთამერიკელებმა მართლაც რომ იფრინეს და ყველა ბეჭებზე გააკრეს — მეტიც, მთელ ფინალურ ეტაპზე მათ მხოლოდ კინკილა სეტი წააგეს. ეს ჩინელებმა მოახერხეს, რომლებსაც ამ ტურნირზე მეტი სხვა ხეირიანი არც არაფერი გაუკეთებიათ.

მოკლედ, მხოლოდ გრან პრის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ბრაზილიელები დამდეგი ოლიმპიადის უდავო ფავორიტები არიან. კოპა-კაბანს პლაჟზე გაზრდილი ფრენბურთელები აშკარად ყველაზე ერთი თავით მაღლა დგანან — მათი უმთავრესი იარაღი კი უსწრაფესი თამაშია, რასაც ხეირიანად ვერავინ გაუმკლავდა. გასაკვირი არც ის უნდა იყოს, რომ ტურნირის უძვირფასესი მოთამაშის ტიტული სწორედ ბრაზილიელს ერგო — ეს პატივი მარიანა შტეინბრეხერმა დაიმსახურა, თუმც ურიგო ფორმაში არც ჩემპიონთა მეორე ლიდერი, შეილა გახლდათ.

მეორე ადგილი კუბელებს ხვდათ, რაც გვარიანი სიურპრიზი გახლავთ. თავისუფლების კუნძული ყოველთვის გამოირჩეოდა ძლიერი ქალ ფრენბურთელთა ნაკრებით, მაგრამ ათენის ოლიმპიდის შემდეგ კუბელებს შემადგენლობა ფაქტობრივად დაეშალათ, რადგანაც ბევრმა ლიდერმა დაანება თამაშს თავი. თუმც კუნძულელებმა ახალი ოლიმპიადისთვის მაინც შეძლეს ძლიერი ნაკრების შეკოწიწება და პეკინშიც სერიოზული პრეტენზიებით ჩავლენ.

მესამე ადგილი იტალიელებს ერგოთ, რომლებმაც მხოლოდ უკეთესი ბურთების სხვაობით აჯობეს ამერიკელებს. „აძურის“ ისევ უბერებელი ფრანჩესკა პიჩინინი მიათრევს, თუმც მარტოს პეკინში, მასაც კი ძალიან გაუჭირდება.

იმედები გაუცრუეს სპეციალისტებს მომავალი ოლიმპიადის მასპინძლებმა და მოქმედმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჩინელებმა, რომლებმაც საკმაოდ უსუსური შთაბეჭდილება დატოვეს. თუმც დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ამ ერთ თვეში ახალგაზრდა ჩინელები თავს მოიკლავენ და საკუთარი ტრიბუნების წინ სულ სხვანაირად ითამაშებენ.

კახა ლომაშვილი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00